

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტური წელიწდეული - ჰუმანიტარული კვლევები

სამეცნიერო ჟურნალი

№ 8

თბილისი

2024

E ISSN 2449-2345

ჟურნალის სარედაქციო საბჭო:

დარეჯან თვალთვაძე, პროფესორი - რექტორის მოადგილე;

ნანა გაფრინდაშვილი, პროფესორი- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი

თედო დუნდუა, პროფესორი- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე

ეკატერინე ნავროზაშვილი, ასოცირებული პროფესორი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ნინო პოპიაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი - სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ჟურნალის რედაქტორი

მაია მადუაშვილი - დოქტორანტი

ნინო კვირიკაშვილი - დოქტორანტი

თამარ გელაშვილი - დოქტორანტი

ნინო ახალაია

სოციალური ქსელების გავლენა მეტყველებაზე

ენისა და მეტყველების ურთიერთკავშირი ენობრივი აქტივობის ფუნდამენტია, ენის უმთავრეს ფუნქციებს შორის, საკომუნიკაციო ფუნქცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. კომუნიკაციის დამყარების არაერთ ვერბალურ თუ არავერბალურ საშუალებას შორის, 21-ე საუკუნემ, უახლესი გამოწვევებისა და გლობალიზაციის ეპოქამ, საკომუნიკაციო სივრცის ყველაზე ეფექტურ პლატფორმად, სოციალური ქსელები აქცია. ქსელები, რომლებიც შეუზღუდავ შესაძლებლობებს გვთავაზობს, უპირველეს ყოვლისა კი სივრცე, რომელიც საშუალებას იძლევა წაიშალოს დრო-სივრცითი მიმართებები, საკომუნიკაციო ველს კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდის. ციფრული ეპოქა გახდა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების სულ უფრო მნიშვნელოვანი განზომილება და მან ცალსახად შეცვალა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, თუმცა განუზომელ შესაძლებლობებთან ერთად, იმთავითვე არაერთი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე დაგვაყენა. უპირველეს ყოვლისა კი, კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა ენის მომავალი. საინტერესოა, რას უქადის ენებს კომპიუტერული ეპოქა და როგორია ქართული ენის მდგომარეობა ამ კუთხით? ახდენს თუ არა გავლენას, სოციალური ქსელები ქართულ ენასა და ქართულენოვან მეტყველებაზე?

ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა, ერთი მხრივ, ენათმეცნიერების შესწავლის მნიშვნელოვანი ასპექტი- ბარბარიზმებისა და ნეოლოგიზმების კვლევა; მეორე მხრივ კი, მეტყველებასა და ენაზე მათი გავლენის შესწავლა.

ტექნოლოგიებთან დაკავშირებულმა ლექსიკამ, საქართველოში ჯერ კიდევ XX საუკუნის ბოლოდან დაიწყო განვითარება და ჩვენი დროის თითქმის ყველა თაობაში ჰპოვა გავრცელება. ამიტომაც, კომპიუტერული ტექნოლოგიების გავლენა დღითიდღე უფრო იზრდება ქართულ ენაზე. ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ადამიანის მოღვაწეობა რომელიმე სფეროში კომპიუტერის გარეშე. ამდენად, კაცობრიობამ გლობალური კომპიუტერული ქსელი, ინტერნეტი, თავისი ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად აქცია. სწორედ ამან წარმოშვა ლინგვისტიკაში მნიშვნელოვანი პრობლემა „ენა და კომპიუტერი“. [ლომთაძე, 2010: 141].

ავსტრალიის ეროვნული უნივერსიტეტის (ANU) კვლევამ, რომელიც გამოქვეყნდა ონლაინ ჟურნალში Nature Ecology and Evolution-ში, დაადგინა, რომ მსოფლიოს 7000 აღიარებული ენის დაახლოებით ნახევარი ამჟამად საფრთხეშია. „ ამ საუკუნის ბოლოსთვის 1500 ენაზე საუბარი

შეიძლება შეწყდეს“, - ამბობს კვლევის თანაავტორი, პროფესორი ლინდელ ბრომჰემი. კვლევა აჩვენებს, რომ სხვა ენებთან კონტაქტი სულაც არ არის ენის დაკარგვის მამოძრავებელი ძალა. [Bromham, 2022].

კიდევ ერთი საინტერესო კვლევა ეხება, 2013 წელს, ჟურნალ plos one-ში გამოქვეყნებულ ლინგვისტისა და მათემატიკოსის ანდრა კორნაის სტატიას, რომელშიც ნათქვამია, რომ 7000 ენიდან, რომელზეც კაცობრიობა საუბრობს, 2500 გადაშენების პირასაა სხვადასხვა მიზეზით. [Kornai, 2013]. კორნაის აზრით, ზოგი ენა არაერთ მნიშვნელოვან ფუნქციურ სფეროს მოიცავს: ყოველდღიური მეტყველებიდან ბიზნესამდე და კომერციამდე. ზოგიც ნაწილობრივ. აგრეთვე, იგი ყურადღებას ამახვილებს ისეთ შემთხვევებზეც, როცა ადამიანებს ესმით უფროსი თაობის კლასიკური ენა, თუმცა თავად არ იყენებენ მას. [Kornai, 2013].

ბუნებრივი ენის საშუალებით ინფორმაციის გადაცემა წარმოადგენს კარგად ჩამოყალიბებულ პროცესს. მოლაპარაკე წარმოთქვამს გარკვეულ ფრაზებსა თუ გამონათქვამებს, რომლებსაც მსმენელი სათანადოდ ანალიზებს. სწორედ ამგვარი ბუნებრივი საკომუნიკაციო პროცესის მოდელირება არის კომპიუტერული ლინგვისტიკის ამოცანა სათანადო ავტომატის - კომპიუტერის მეშვეობით, რომელიც მოახდენს „მოლაპარაკის“ მიერ ფრაზების წარმოქმნისა და „მსმენელის“ მიერ ამ ფრაზების ინტერპრეტაციის პროცესების იმიტირებას. [გამყრელიძე, 2008 : 489].

გარდა ამ ყველაფრისა, კომპიუტერთან დაკავშირებული ლექსიკა სლენგს განეკუთვნება და გვხვდება თითქმის ყველა სოციალურ ჯგუფში. ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ლექსიკა ძირითადად, ინგლისური ენიდან შემოდის. შესაბამისად, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ინტენსიურად ვრცელდება საერთაშორისო და სამართლებლივ ურთიერთობებთან დაკავშირებული ლექსიკა. [ლომთაძე, 2010 : 141].


ქართული ენა ლექსიკის მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით გამოირჩევა. იგი ოდიდგანვე განიცდიდა სხვა ენების გავლენას და სწორედ ამით აიხსნება მრავალი ნასესხები სიტყვის არსებობა. უფრო მეტიც „ ენის ისტორია განუყოფელია ერის ისტორიისაგან და ენის ლექსიკა, ჟამთააღმწერლის სიზუსტით ასახავს ერის ისტორიულ პერიპეტიებს.“ [მარგალიტაძე, 2017: 37]. როგორც ცნობილია, ქართულ ენაში არსებობს სპარსული, არაბული, თურქული, რუსული და სხვა ენებიდან შემოსული სიტყვები. ძალიან საინტერესოა ის, თუ როდის დგება ენაში უცხო სიტყვის შემოტანის საჭიროება. უცხო სიტყვების ენაში გავრცელების საკითხი მაშინ იჩენს თავს, როცა ენობრივი კოლექტივი ეცნობა ახალ საგნებს, ან იქმნება ახალი ცოდნა, რასაც შედეგად მოსდევს ახალი სიტყვებისა და ცნებების წარმოქმნა. [მარგალიტაძე, 2017: 37].

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, სჭირდება თუ არა ქართულ ენას ის ინგლისურენოვანი ბარბარიზმები, რომლებმაც რამდენიმე წლის წინ შედარებით მოკრძალებულად შემოაბიჯეს და ახლა საკმაოდ მჭიდროდ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ ენაში. ყოველი ინგლისური ძირის სიტყვას აქვს ქართული შესატყვისი, ზოგ შემთხვევაში რამდენიმეც კი. ამდენად, მათი ქართულ ენაში შემოტანის აუცილებლობა ფაქტობრივად არ არსებობს. იმთავითვე, ამ სიტყვების გავრცელება ენაში იწვევს არაერთ პრობლემას, კერძოდ, ბარბარიზმების დიდი რაოდენობით შემოსვლა ენაში ხელს უშლის ურთიერთგაგებას. შესაბამისად, ქართულ ენას არ სჭირდება უცხო ენებიდან ნასესხები სიტყვები, არამედ მას სჭირდება განვითარება. ნასესხობა, სწორედ რომ სიტყვების ეტიმოლოგიაში აისახება, ვინაიდან ერისა და ენის ისტორიით არის განპირობებული. ქვემოთ კი ჩამოთლილია ის ენობრივი ფორმები, რომლებიც სოციალური ქსელების გავლენით შემოვიდა და ფეხი მოიკიდა ქართულ მეტყველებაში. ესენია:

- დაბუსტვა – რეკლამის გაკეთება ფეისბუკზე;
- დაკლიკვა – კომპიუტერის თავუნას დაწკაპუნება ინტერნეტ-ბმულზე;
- დალინკვა – ინტერნეტ-ბმულის შექმნა, გაზიარება;
- ლინკი – ბმული;
- სპამი – არასაჭირო ინფორმაცია, ძირითადად იმეილით;
- დაფორვარდება – შეტყობინების (ძირითადად იმეილის) გადაგზავნა;
- დალაიქება – ფეისბუკში გამოქვეყნებული შინაარსის მოწონება;
- დათაგვა – ადამიანის ან ადგილის მონიშვნა ძირითადად სოც-მედიის შეტყობინებაში;
- დაჰაიდება – არასასურველი ადამიანის გაქრობა შეტყობინებების ლენტიდან ფეისბუკში;
- დაფოლოუება – ადამიანის, ორგანიზაციის ან გვერდის შეტყობინებების გამოწერა;
- დაპოსტვა – სტატუსის გამოქვეყნება სოც-მედიაში;
- ემოჯი – ინტერნეტში ემოციებისა და ობიექტების ამსახველი მცირე ზომის გამოსახულება;
- სმაილი – ლიმილის მცირე ზომის გამოსახულება;
- დატროლვა – დაცინვა, გასულელება;
- დასპოილერება – შინაარსის წინასწარ თქმა;
- დაჰაჰავება – დაცინვა ფეისბუკის ემოჯით;
- დასინვა – პირადი შეტყობინების ნახვა პასუხის გარეშე ფეისბუკში;
- დედლაინი - უკანასკნელი, ბოლო ვადა;

- ევიდენსი - მონაცემები, ფაქტები;
- ემერჯენსი - სასწრაფო დახმარების მანქანა;
- ინსპირაცია - შთაგონება;
- კოლაბორაცია - თანამშრომლობა, ერთობლივი მუშაობა;

სოციალური მედია, XXI საუკუნის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, რომელმაც დედამიწის თითქმის ყველა ნაწილი მოიცვა. მსოფლიოს მასშტაბით, მასში აქტიურად არის ჩართული მილიარდობით ადამიანი წლიდან წლამდე, ვითარდება ტექნოლოგიები, რაც კიდევ უფრო მეტად ამარტივებს სოციალური მედიის გამოყენებას. [ჯიჯავაძე, 2020: 36]. მსოფლიოში ცნობილი სოციალური ქსელებია: Facebook, Instagram, Twitter, Myspace, Youtube, Whatsapp, tik-tok და ა.შ. ჩვენი კვლევის ინტერესებში მოექცა, მარკ ცუკენბერგის facebook – როგორც ყველაზე პოპულარული სოციალური ქსელი, რომლის მომხმარებელმაც თითქმის 2 მილიარდს მიაღწია. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სწორედ ეს პლატფორმაა ყველაზე პოპულარული და სწორედ მისი საშუალებით შემოდის და მკვიდრდება ბარბარიზმების რეკორდული რაოდენობა ქართულ ენაში.(იხ.სურათი 1)



სურათი

1.

აღმოჩნდა რომ, სიხშირული მაჩვენებლის მიხედვით, პროცენტულად, ყველაზე ხშირად აღნიშნული

სიტყვები


გვხვდება

facebook-ში.

(იხ.

სურათი


2)



სურათი

2.

პროცენტულად გადანაწილებული დიაგრამით ირკვევა, რომ ყოველწლიურად ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა სულ უფრო იმატებს. (იხ.სურათი 3).



სურათი

3.

დაბოლოს, მცირე სემანტიკურ ჯგუფებსა და რამდენიმე სოციალურ პლატფორმაზე ჩატარებული კვლევის შედეგად მოპოვებული მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგები შეიძლება განვაზოგადოთ და შემდეგი დასკვნების სახით ჩამოვაცალიბოთ:

- უხვი ბარბარიზმების შემოსვლასა და დამკვიდრებას ყველაზე მეტად ხელს უწყობს facebook პლატფორმა, ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგანაც სიხშირული მაჩვენებლის მიხედვით, მას ყველაზე მეტი მომხმარებელი ჰყავს.

- სიხშირულად ყველაზე ხშირად გამოყენებული ბარბარიზმები-დაშეარება (გაზიარება), დალაიქება-(მოწონება), დაკავშირებულია Facebook პლატფორმის სპეციფიკასთან და იმ აქტივობებთან, რასაც ემსახურება აღნიშნული პლატფორმა.

- სოც.ქსელებიდან შემოსული ბარბარიზმების ჭარბი გამოყენება, უმეტესად ახალგაზრდების მეტყველებაში ფიქსირდება,თუმცა ისინი გვხვდება ყველა სოციალური ჯგუფის მეტყველებაში.

- კომპიუტერისა და ტექნოლოგიური ცივილიზაციის გაუმჯობესება თანამედროვე ქართული ენის განვითარებას, ერთი მხრივ, ხელს უწყობს, ხოლო, მეორე მხრივ, გარკვეული საფრთხის წინაშე აყენებს მას.

- ქართული ენა არ საჭიროებს ისეთი სიტყვების ხელოვნურ შემოტანასა და დამკვიდრებას, რომელთაც გააჩნიათ ქართული შესიტყვებები.

ბიბლიოგრაფია:

- 1) გამყრელიძე თ. თეორიული ენათმეცნიერების კურსი.-თბ.,2008.
- 2) ლომთაძე თ. თანამედროვე ქართული სოციოლექტები.- თბ., 2010
- 3) მარგალიტაძე თ. ბარბარიზმების ლექსიკონი.- თბ.,2017.
- 4) ჯიჯავაძე ლ. სოციალური მედიის ზეგავლენის აღქმა სტუდენტების მიერ.-თბ.,2020.
- 5) Bromham L. Global predictors of language endangerment and the future of linguistic diversity.- Canberra,2021.
- 6) Kornai A. Digital Language Death. San Francisco.- 2013.

ნინო ზიგერი.

გერმანულენოვანი გაზეთი „KAUKASISCHE POST“ და გაზეთი „ივერია“ (ერთი დღის ნომრების კომპარატივისტული ანალიზი)

შესავალი

გაზეთი "ივერია" დაარსდა 1877 წლის 3 მარტს ილია ჭავჭავაძის მიერ. გაზეთის უმთავრესი მიზანი თავიდანვე იყო ეროვნული, კულტურის, პოლიტიკის, საერთაშორისო ახალი ამბებისა და სხვა საზოგადოებრივი საკითხების მიმოხილვა. „ივერია“ იყო ინფორმაციის სანდო წყარო მთელი საქართველოს მასშტაბით. იგი მოიცავდა მოვლენათა საფუძვლიან ანალიზს, ინტერვიუებს საზოგადოების მთავარ ფიგურებთან და სიღრმისეულ ანგარიშებს, რომლებიც ასახავდა საქართველოს დინამიურ ლანდშაფტს და მის ადგილს მსოფლიოში. მკითხველთა მომსახურების ერთგულებით გამორჩეული გაზეთი დიდ როლს თამაშობდა საზოგადოებრივი დისკურსის ჩამოყალიბებასა და ქართული საზოგადოების ინფორმირებაში. "KAUKASISCHE POST" დაარსდა 1906 წლის 18 ივნისს არტურ ლაისტსა და კურტ ფონ კუჩენბახის მიერ. ეს იყო გერმანულენოვანი პერიოდული გაზეთი, რომელიც სპეციალურად მორგებული იყო გერმანულად მოსაუბრეებსა და კავკასიის რეგიონში მცხოვრებ გერმანელებზე. ის მოიცავდა თემების ფართო სპექტრს, მათ შორის პოლიტიკას, ეკონომიკასა და კულტურას და ა. შ. გაზეთი ინფორმაციის გერმანულენოვანი წყაროა კავკასიის სიახლეებით დაინტერესებული მკითხველებისთვის. კავკასიის ხალხების კულტურების პოპულარიზაცია ამ გაზეთის ერთ-ერთი დამსახურებაა. სარედაქციო ჯგუფი უზრუნველყოფდა გერმანულ კოლონისტებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთდაახლოებას. საინტერესოა ის ფაქტი, რომ გაზეთი „ივერიის“ დამაარსებელი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძეა, რომელიც „კაუკაზიშე ფოსტის“ რედაქტორს, არტურ ლაისტს ახლოს იცნობდა. არტურ ლაისტი და ილია ჭავჭავაძე თანამოაზრეები იყვნენ, არტურ ლაისტმა თარგმნა ქართველი ავტორების, მათ შორის, ილია ჭავჭავაძის შემოქმედება გერმანულ ენაზე და სხვ. ჩვენს მოხსენებაში განვიხილავთ საკითხებს, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული როგორც ილია ჭავჭავაძის 'ივერიის' მე-16 (ანუ ბოლო) ნომერში, ასევე არტურ ლაისტის „კავკასიშე ცაიტუნგის“ პირველ ნომერში.

გაზეთ „ივერიის“ მე-16 ნომრისა და გაზეთ „KAUKASISCHE POST“-ის 1-ლი ნომრის შედარება

გაზეთ „ივერიის“ მე-16 ნომერი და გაზეთ „Kaukasische Post“-ის 1-ლი ნომერი გამოიცა 1906 წლის 18 ივნისს.

„ივერიის“ აღნიშნული ნომრის რედაქტორი გახლავთ ფილიპე გოგიჩაიშვილი, ხოლო გამომცემელი ი. თუმანიშვილი. გაზეთი 16 გვერდიანია, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: „პარტიული რადიკალიზმი და კულტურული მრავალფეროვნება“, „თავად-აზნაურობის დანაწილება“, „ეროვნული საკითხი და ავტონომია“, „პატარა ფიქრები“, „ახალი პარტია სათათბიროში“, „სათათბირო და საერთო გაფიცვა“, „ავტონომია, ფედერაცია და ეროვნული საკითხი“, „დაბრუნდა!“.

რაც შეეხება „Kaukasische Post“-ს, მისი პირველი ნომრის რედაქტორია არტურ ლაისტი. გამომცემელი კი კურტ ფონ კუჩენბახი. ეს ნომერი არის 16 გვერდიანი. ის მოიცავს ასეთ თემებს: „ჩვენი მკითხველებისადმი“, „პოლიტიკური მიმოხილვა“, „სხვადასხვა ცნობები“, „კოლონიებიდან“, „ბაქოდან“, „მთელი მსოფლიოდან“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „ახალი წიგნები, „გერმანელობა ამიერკავკასიაში“, „გერმანული კოლონიები ამიერკავკასიაში“, „კულტურული მცენარეების მოსავლიანობის შენარჩუნება და გაზრდა“, „მალარია და მისი გამომწვევი მიზეზი“ და ა.შ.

გაზეთი „ივერიის“ მე-16 ნომერი ამხვილებს ყურადღებას სხვადასხვა საზოგადოებრივ თემებზე, განსაკუთრებით კი ეროვნულ საკითხებსა და პოლიტიკაზე. ჩვენი მიზანია პარალელურად განვიხილოთ „Kaukasische Post“ ის პირველი ნომერი და გაზეთი ივერიის მეთექვსმეტე ნომერი. როგორც აღვნიშნეთ, „ივერიის“ პარალელურად ჩვენ ვიხილავთ არტურ ლაისტის გაზეთს.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ განსაკუთრებულად ამხვილებს ყურადღებას ეროვნულ საკითხზე. გაზეთში ხაზგასმულადაა წარმოჩენილი რუსის გაბატონებული მდგომარეობა, მისი განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობა სხვათა ეროვნული ჩაგვრის ხარჯზე: „ეროვნული დაჩაგვრის არსებობას რუსეთში ყველა არარუსი ეროვნება გრძნობს. იმ სახელმწიფოში, სადაც რუსობა უმცირესობას შეადგენს, მხოლოდ რუს ეროვნებას აქვს მინიჭებული ყველა ის კულტურული უპირატესობა, რომელსაც ხალხისთვის იმეტებდა მთავრობა. არარუს ეროვნებათა მდგომარეობა ხომ ყველამ ვიცით, ბავშვობითვე ათასნაირი სახელმწიფო მოხელე გვახვევია თავზე და ჩვენ გადაგვარებაზე ზრუნავს“ (გაზეთი „ივერია“ 1906, 16:3).

ილია ჭავჭავაძის გაზეთი „ივერია“ კიდევ უფრო დეტალურად მიმოიხილავს ქართველი მოსწავლის უფუფლებობას, მის მიმართ გატარებულ არასწორ ენობრივ პოლიტიკას. რუსი მასწავლებლები ქართველ მოსწავლეს სხვადასხვა სასჯელით ემუქრებიან თუ გაკვეთილზე ის რუსულად არ ისაუბრებს: „შევა თუ არა ბავშვი სასწავლებელში, მასწავლებელი მას ეუბნება, - დედაენა დაივიწყე, რუსული შეითვისე, თორემ უსწავლელად დაგტოვებო“ (გაზეთი „ივერია“ 1906, 16:3). რასაკვირველია, ასეთი მოქცევა მიმართული იყო იქით, რათა მშობლიურ ქართული ენაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭებინათ რუსული ენისათვის. საინტერესოა, რომ „კავკაზიშე პოსტის“ ერთ-ერთი სტატიის ავტორი, პედაგოგი ერის ბერნშტაინი დიდად წუხს, რომ კავკასიელი თანამემამულეები ძალიან ჩამორჩნენ კულტურის მხრივ მეზობელ ხალხებს, ქართველებს, რუსებსა და სომხებს. ეს განსაკუთრებით თბილისში შეიმჩნეოდა, სადაც ვითარდებოდა ადგილობრივ ხალხთა ლიტერატურა და ხელოვნება. ამას ფეხს ვერ უწყობდნენ კავკასიელი გერმანელები. ხოლო როდესაც განათლებისაკენ მათი ლტოლვა გაძლიერდა, ამას მათი გარუსება მოჰყვა, - აღნიშნულია გაზეთში. „კავკაზიშე პოსტის“ ერთ-ერთი სტატიის ავტორი წუხს, რომ გერმანულ ოჯახში გერმანელი მწერლები: შილერი, გოეთე, შპილჰაგენი, აუერბახი და სხვები მხოლოდ სახელებით იციან, ზოგჯერ ისიც კი არა და, ამასთანავე, არ შეუძლიათ მათზე საუბარი. „ჩვენი დიდი მწერლები საშუალო გერმანულ ოჯახში ნაკლებად ცნობილნი არიან. ოჯახს არაფერი აქვს შესწავლილი, რომ დაუპირისპიროს პუშკინს, ლერმონტოვს, ტურგენევის, გონჩაროვს და დოსტოევსკის. მართალია, სწავლა, სკოლებში, გერმანულ ენაზე იყო, მაგრამ მათ გამართულად კითხვა და წაკითხულის გააზრებაც კი უჭირდათ“, - აღნიშნავდა არტურ ლაისტის გაზეთი („Kaukasische Post“, N1, 1906). ასეთ ვითარებაში გამოიცა ეს გაზეთი. მას 325 ხელმომწერი ჰყავდა, ეს მაშინ, როცა ამ დროისათვის სამხრეთ-ჩრდილოეთ კავკასიაში 25 ათასი გერმანელი ცხოვრობდა. მაგრამ, როგორც აღნიშნავენ, გაზეთი კარგი გამოვიდა და მოეწონათ. გაზეთ „ივერიაში“ აშკარაა მხილებული რუსიფიკაციის სისასტიკე. „ივერიაში ვკითხულობთ: „რუსეთის მთავრობის აზრით, ყოველი არარუსი ეროვნება იმდენად ჩამორჩენილი და განუვითარებელია, რომ არ შეიძლება მას მიენიჭოს ყველა ის უფლება, უპირატესობა, რომელიც რუს ხალხს აქვს, როგორც მაგალითად ერობა, ნაფიცი მსაჯულები და სხვა... არარუსებს პოლიტიკური უფუფლებობა ხვდათ წილად და ამასთან ერთად, ეროვნული დაჩაგვრაც“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ილიას გაზეთი ეროვნული თავისუფლების იდეას აყალიბებს: „ეროვნული შევიწროების მოსასპობად უნდა შემოვიღოთ ეროვნულ-ტერიტორიული ავტონომია,

რომელსაც უნდა მიენიჭოს თვითმმართველობა; ყოველ ასეთ ტერიტორიაზე სხვა ეროვნების უმცირესობასაც უნდა მიეცეს შესაფერი გარანტიები, რომ მათი ეროვნული უფლებები არ შეიზღუდება“, - აი ასეთი პროგრესული იყო ილიას ეროვნული იდეის განხორციელება. „კავკაზიშე პოსტის“ მიმართვაში - „ჩვენი მკითხველებისადმი“ - ჩამოყალიბებულია გაზეთის დანიშნულება, მისი სამომავლო მიზნები და ამოცანები. გაზეთი მიზნად ისახავდა კავკასიაში მცხოვრები გერმანელების ინტერესების დაცვას, თანამემამულეთა სულიერ და ზნეობრივ ამაღლებას. გაზეთში „ჩვენი მკითხველისადმი“ მიმართვაში ვკითხულობთ: „ჩვენ ყველანი, რომლებმაც აქ, შორეულ უცხოეთში, მეორე სამშობლო ვპოვეთ, იძულებულნი ვართ ჩვენი ძალღონისა და დროის უდიდესი ნაწილი პროფესიულ საქმიანობას მოვახმაროთ, მაგრამ საბედისწეროთ დაუდევრობა იქნებოდა თუ კი ყოველდღიური სარჩოსათვის ზრუნვა იმ საგანძურს დაგვაკვიწყებდა, რომლის გარეშე არცერთ ადამიანს არ აქვს უფლება, მაღალკულტურულობის პრეტენზია ჰქონდეს“ (ბრეგაძე, 2010: 20).

მკითხველებისადმი მიმართვაში გაზეთს გამოკვეთილი აქვს ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი: „ჩვენ გვსურს წვლილი შევიტანოთ ჩვენივე სასიკეთოთ და სასარგებლოდ და იმ ქვეყნის საკეთილდღეოდ, რომელშიც ვცხოვრობთ“. (Kaukasische Post“, N1, 1906). გაზეთის საპროგრამო წერილში ჩამოყალიბებულია საქართველოში მცხოვრები გერმანელთა ორი დიდი მისია: საკუთარი ინტერესების დაცვა, სულიერ ზნეობრივი განვითარება და, ამავე დროს, ზოგადად, არანაკლებ მნიშვნელოვანი მიმართვა, იმ ქვეყნის ცხოვრებაში სასიკეთო და სასარგებლო წვლილის შეტანა, რომელშიც ცხოვრება უხდებათ (ანუ საქართველოში). თავის მხრივ, ილიას გაზეთში ვკითხულობთ: ეროვნული უმცირესობები უნდა სწავლობდნენ სახელმწიფო ენას და თავიანთ მშობლიურ ადგილობრივ ენას. გაზეთის პუბლიკაციებში ეროვნული თვითშეგნების გზის საწყის ნიშნებზე და განათლების საკითხებზეც ყოფილა გარკვეული ინფორმაცია. ქართულ საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ იბეჭდებოდა ცნობები კავკასიიდან. იწერებოდა ქართული წიგნის გამოცემის, კულტურის გაღვიძების, ეროვნული თვითშეგნების, განათლებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. არტურ ლაისტი აღნიშნავს, რომ თითოეული გერმანელის ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იქით, რომ შეინარჩუნოს გერმანული სახე, ეროვნული იდენტობა. იგი უნდა იძლეოდეს შრომისმოყვარეობის, წესრიგის დაცვის, სერიოზული კულტურული ქცევის, მაგალითს, რომელიც ზოგმა მემკვიდრეობით მიიღო, აქ დამკვიდრებული მამებისგან. ხოლო ზოგმა შორეული სამშობლოდან ჩამოიტანა. (Kaukasische Post N1, 1906, გვ.1).

გაზეთი ზოგიერთ პოლიტიკურ სიტუაციასაც აანალიზებს. სპეციალურ რუბრიკაში „პოლიტიკური მიმოხილვა“ გაზეთი იხილავს ესპანეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა შეხვედრას. აქ წამოყენებული იყო მოთხოვნები, რომლებიც გერმანიის წინააღმდეგ იყო მიმართული. საკითხი ეხებოდა ფინანსურ ასპექტებს. ასევე რუსეთის მხარდაჭერას ეგვიპტის საკითხზე და სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებს. გაზეთში საუბარია სოციალურ წესრიგზე, საგადასახადო ფინანსურ ნორმებზე (მანქანის გადასახადი, ჰონორარი, სამეზობლო გადასახადი, მემკვიდრეობის გადასახადი და ა. შ.). გაზეთის ეს ნომერი რელიგიის საკითხებსაც უთმობს ადგილს. „კათოლიკე მასწავლებელთა ასოციაცია საეკლესიო სკოლაში სიარულის წინააღმდეგ გამოვიდა, იუწყება „Kaukasische Post“-ი. გაზეთი თავის გვერდებზე ადგილს უთმობს სხვადასხვა შინაარსის ნიუსებს (ახალ ამბებს) და ინფორმაციებს მკვლევლობებზე, ყაჩაღურ თავდასხმებზე (რუბრიკაში „სხვადასხვა ცნობები“). გაზეთის მეშვედით გვერდზე ფართო ადგილი უკავია დღის მნიშვნელოვან ამბებს. მაგ.: შეინიშნებოდა ქარიშხლები; დღის ბოლოს მოხდა დედამიწის ძლიერი ბიძგები; დაიწყო პალატის ოთხდღიანი სხდომა: სოფელი ხოზნა თეატრებით იყო გარშემორტყმული; თბილისში ძარცვამ, მკვლევლობამ საგანგებოდ იმატა და სხვ. როგორც ჩანს, გაზეთს დღის ამბები დაწვრილებით აქვს გადმოცემული. გაზეთის ცალკე რუბრიკაა კრიმინალური ამბები: ერთ-ერთ გვერდზე დეტალურად განხილულია უზნეობის მაგალითები. აქვეა თავდასხმის, ყაჩაღობის შემთხვევები: ასე, მაგ.: სატულ რატიევს თავს დაესხა 4 შეიარაღებული ყაჩაღი, რომლებსაც იგი დაუსხლტა. ამავე რუბრიკაში მოთავსებულია ძარცვის, თავდასხმის, ქურდობის, დაჭრის სხვადასხვა ფაქტებია შემდეგ გვერდზე გაზეთი საკმაოდ ვრცლად ეხება სოფლის ინფრასტრუქტურის მოწყობის საკითხს: აღნიშნულია, რომ დანგრეულია სხვადასხვა სტრუქტურები, მორღვეული ღობეები, რომლის კეთილმოწყობაზე არავინ ზრუნავს და ტროტუარიც, რომელიც ქუჩებს ორივე მხრიდან აქვს, აყრილ-დაყრილია. აქვე განცხადებულია: საჭიროა რომ ამ ყველაფერს ყურადღება მიექცეს. მოსახლეობა მოითხოვდა ამ საზოგადოების თანამდებობის პირთა თანადგომასა და დახმარებას. საინტერესოა, რომ გაზეთი სოფლის მეურნეობის საკითხებსაც მიმოიხილავს. „ვენახების მდგომარეობა ზოგადად დამაკმაყოფილებელია, თუმცა ვაზის დაავადება დიდ ზიანს აყენებს მოსავალს. მოსალოდნელია შემცირებული კარგის ნაცვლად, შემცირებული მოსავლის ქონება. რაც შეხება მარცვლეულს, გაზაფხულის ხანგრძლივი გვალვების გამო მოსავალი არასახარბიელო მიეღო. აქვე არის ცნობები - „სომხეთისა და თათრების (აზერბეიჯანელების! ნ. ზ.) დაპირისპირებასთან

დაკავშირებით. საშიშროება იმდენად დიდია, რომ სამხედრო პატრულიც ჩაერთო და იმედი აქვთ, რომ მათი მეშვეობით დაპირისპირება არ გართულდება“ („Kaukasische Post“, 1: 7). ამავე გაზეთში არის ინფორმაცია ბაქოდან, რომ „14 მაისს, წირვის შემდეგ, ევანგელურ-ლუთერანული საზოგადოებისა და ბაქოს საპენსიო სახლს სამირკველი ჩაეყარა. ამ დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული გაიმართა, იქაურობა მორთული იყო დროშებით, გირლიანდებით, იქ იყო სამხედრო ბენდიც. ღონისძიებას ქალთა ასოციაციის წევრებიც ესწრებოდნენ. და შეგროვდა 10 000 (თანხა) და მადლობა უხდიდნენ ქალებს, რომლებიც შრომობდნენ მრავალი წლის განმავლობაში.

აქვე გაზეთი ჰპირდება მკითხველს, რომ მალე სხვადასხვა სახის საინფორმაციო ბიულეტენს გამოსცემდნენ.

გაზეთის რუბრიკაში - „ამბები მთელი მსოფლიოდან“ საუბარია სტიქიაზე, რომელიც „თავს დაატყდა კალიფორნიაში ერთ-ერთ სავაჭრო ქალაქს. აქ ისმება კითხვა: მიწისძვრის ბრალია, თუ მეწყერის შედეგი? გეოლოგები ამას კითხულობენ და ცდილობენ, რომ დააზუსტონ და აცხადებენ, რომ სამწუხაროდ, რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ნათელია, რომ ეს არის ერთ-ერთი შემზარავი კატასტროფა“.

რუბრიკაში „ლიტერატურა და ხელოვნება“ მოცემულია არტურ ლაისტის მოთხრობა „თავზარდამცემი ამბავი“ (კოლაფსი). ჩვენი მიზანია არტურ ლაისტის გაზეთის მოცემული ნომრის ცალკეული თემების მიმოხილვა, რომელშიც მხატვრული ნაწარმოებიცაა მოცემული. ამ ნაწარმოებს ზოგადად შევხებით. თხზულების მთავარი იდეაა წუთისოფლის წარმავლობის საკითხი. თხზულებაში მთავარი გმირის, თამარის მამის დაღუპვის გარდაცვალებით გამოწვეული განცდებია გადმოცემული. საინტერესოა თვითონ თამარის მხატვრული სახე. „მანქანის სალონში ორი ტურფა გოგონა იჯდა, რომელთა სილამაზე გარემოს შესატყვისი იყო. ორივეს შავი კოსტუმი ეცვა და შავი ქუდეები ეხურათ, რაც კიდევ უფრო ხაზს უსვამდა მათ კეთილშობილებასა და ელეგანტურობას. მათი სევდიანი გამომეტყველება შთამბეჭდავი იყო, განსაკუთრებით გამოირჩეოდა უფროსი ქალიშვილი თამარი, რომელსაც ლამაზი თვალებიდან ლოყაზე დროდადრო ცრემლები სცვიოდა. მიზეზი მამამისის გულის შეტევა იყო“. ეს მოთხრობა სულ ორ გვერდზე გრძელდება. ჩვენ მოთხრობას დეტალურად არ განვიხილავთ. თუმცა აღვნიშნავთ, რომ არტურ ლაისტი, ოფიციალურ სხვადასხვა სახის ცნობებთან ერთად, დაინტერესებული მკითხველისათვის მხატვრულ ქმნილებასაც უთმობს ადგილს, ბოლოში მამის დაკრძალვის მძიმე სურათს ერთვის კონტრასტული სურათი ბუნების სილამაზისა: „მთებს და ველებს კაშკაშა ვარსკვლავები მშვიდად

ანათებდნენ“. გაზეთში მოთავსებულია ნეკროლოგი დიდ პოეტზე სენრიტ იბსენზე, რომელიც 23 მაისს, 78 წლის ასაკში გარდაიცვალა, ის იყო ცნობილი, დიდი ავტორიტეტის მქონე, ბრძენი პოეტი, თავისი ხალხის მომღერალი და ისეთივე კაშკაშა, როგორც „ნორვეგიის ზაფხულის ღამის მთვარე“. რუბრიკაში „ახალი წიგნები“ რედაქტორი წერს: „ჩვენ ახლა შევხებით საჭირო წიგნების გამოცემის საკითხს, რომელთაც აქვთ ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღირებულება. ბევრი გერმანელი საკუთარ ლიტერატურულ საგანძურს ნაკლებად იცნობს, განსაკუთრებით თბილისელი გერმანელები, - ამბობს არტურ ლაისტი. ბევრმა მშობელმა მხოლოდ ქალიშვილები გაგზავნა სკოლებში, მათ ჩაუნერგა სურვილი, რომ უმაღლესი განათლებისათვის ეზრუნათ, თუმცა ახალგაზრდებმა ამ მისწრაფებებს მხარი არ დაუჭირეს. საშუალო გერმანულ ოჯახს არ შეუძლია დაარეგულიროს სკოლის დენაციონალიზაციური მიდგომა, რადგან ოჯახს არ აქვს არანაირი საშუალება სკოლაში ნასწავლ, სკოლის პროგრამით გათვალისწინებულ პუშკინს, დოსტოევსკის, გვერდით შეისწავლონ შილერი, გოეთე. ანუ მშობლიური ინტელექტუალური საგანძური მათთვის უცხოდ რჩება. გერმანელი ახალგაზრდების მშობლიური სიტყვების მარაგი იმდენად მცირეა, რომ არც შეუძლიათ ღრმა კითხვების დასმა, თავიანთ მშობლიურ ენაზე ღრმა აზროვნება და ნაკლებად აქვთ გაცნობიერებული, რომ ენა არის ის საშუალება, რომელშიც ის თვითონ მოიაზრება („Kaukasische Post“, 1: 7).

ამდენად, არტურ ლაისტი აყენებს მშობლიური ენის უფრო ღრმად მეცნიერულად შესწავლის საჭიროებას, რათა იგი იყოს გერმანული საზოგადოების ორგანული ნაწილი. თუ ეს ასე არ არის და ის მიმართავ მისთვის უფრო ნაცნობ ენას (და არა მშობლიურს), აქ დამნაშავეა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და არა ოჯახი, რომელიც სკოლასთან კონკურენციაში უფრო სუსტი საფეხური აღმოჩნდა. აქედან აუცილებელია, გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები, რომ არსებული ვითარება გამოასწორონ.

რუბრიკაში „გერმანული კოლონიები ამიერკავკასიაში“ ემიგრაციის ზოგიერთ პრობლემას განიხილავს: დისკომფორტს, იმედგაცრუებას, მის მიზეზებზე, ევანგელურ-ლუთერანულ საზოგადოებაზე, გადასახადებზე და ა.შ. შემდეგ იგი ეხება ვრცლად სამხედრო წვრთნის, შეიარაღების საკითხებს, ემიგრაციის მიზეზებზე: „ადგილზე შექმნილმა სიღარიბემ აიძულა ბევრი ადამიანი, განსაკუთრებით, უფრო მჭრიდროდ დასახლებულ რაიონებში, ეფიქრა ემიგრაციაზე იმ ქვეყნებში, რომლებშიც მათ უფრო ადვილი და უპრობლემო არსებობის პერსპექტივა ჰქონდათ“. ამას ემატებოდა დიდი რელიგიური მოძრაობაც.

და ბოლოს გაზეთი „Kaukasische Post“ სასოფლო-სამეურნეო საკითხებს ეხება, იძლევა მეტეოროლოგიურ

ცნობებს, ტემპერატურის ცვლილებებს, ნალექების რაოდენობას, ცხოველთა დაცვის გაძლიერებას, ბუნების დაცვას, მალარიას - დაავადებას, რომელსაც ძირითადად სხვადასხვა მწერები იწვევენ, რომლებიც სისხლით იკვებებიან.

გაზეთში განხილულია ტექნიკური სიახლეები, სადაც ახალგამოგონებულ აპარატზეა საუბარი, რომელიც „გერმანიამ შექმნა ნიურნბერგში. ეს ძველ აპარატებთან შედარებით 2-ჯერ უფრო მდგრადია, ფილტრი უფრო ეფექტურია, რადგან ზეთით გაწმენდა შესაძლებელია საფუძვლიანად. მასზე დიდი მოთხოვნილებაა, 200 000ზე მეტი კი უკვე გაყიდულია“ („Kaukasische Post“, 1:). ბოლოში არის იუმორის კუთხე. სხვადასხვა განცხადებებია ექიმების მიღების განრიგზე, უძრავი ქონების გაყიდვაზე და სხვ. ასეთი მრავალფეროვანია არტურ ლაისტის გაზეთი „Kaukasische Post“-ისა 1 ნომერი, რომელიც საგანგებოდ გამოყოფს ეროვნულ საკითხს, ამასთანავე დიდ ყურადღებას უთმობს ენის, კულტურისა და სხვა ძირითად საკითხებთან ერთად მრავალფეროვან მასალას ათავსებს საქართველოში გამოცემულ გერმანულენოვან გაზეთში.

დასკვნა

გაზეთ „ივერიის“ მე-16 ნომრისა და „Kaukasische Post“-ის 1-ლი ნომრის შედარება აღნიშნავს ორი გაზეთის განსხვავებულ სარედაქციო მიზნებსა და სოციალურ-პოლიტიკურ კონტექსტს, ასევე გამოავლენს საერთო შემფოთებას კულტურულ იდენტობასა და ეროვნულ უფლებებთან დაკავშირებით. „ივერია“, რომელსაც ქართული ეროვნული სულისკვეთება ამოძრავებს, მხარს უჭერს რუსეთის იმპერიის ქვეშ მყოფი არარუსული ჯგუფების ავტონომიას და კულტურულ შენარჩუნებას, განსაკუთრებით ხაზს უსვამს ქართველთა ბრძოლას. „Kaukasische Post“ ემსახურება გერმანულენოვან საზოგადოებას კავკასიაში, ხაზს უსვამს გერმანული კულტურის შენარჩუნებას და ხელს უწყობს უფრო ფართო ქართულ საზოგადოებასთან ჩართულობას. გაზეთი „ივერია“ ქართველებისთვის ეროვნული თავისუფლებისა და განათლების რეფორმის აუცილებლობაზე საუბრობს, „Kaukasische Post“ კი ეხება ეთნიკური გერმანელების წინაშე არსებულ გამოწვევებს, მათ შორის მათი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და ადგილობრივ ცხოვრებაში ინტეგრაციას. ორივე გაზეთი ასახავს რეგიონის რთულ ეთნიკურ და პოლიტიკურ დინამიკას, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ეროვნული იდენტობის გამოხატვისა და კულტურული უფლებების ადვოკატირებისთვის პოლიტიკური არეულობის დროს.

ბიბლიოგრაფია :

1. გაზეთი „ივერია“-1906.-18 ივნისი.-№16;
2. ლევან ბრეგაძე. მოგზაურობა „კაუკაზიშე პოსტის ფურცლებზე“ .-თბ., 2010;
3. Kaukasische Post .-1906.-N1

გიორგი შარაშენიძე.

კონფლიქტის კოლექტიური ტრავმის დაძლევის გამოცდილება თამრი ფხაკაძის მოთხრობაში
„ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“

თამრი ფხაკაძის ეს მოთხრობა მრავალმხრივ შეიძლება იყოს განხილული, თუმცა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, ჩვენი ნაშრომი მას უპირატესად ომისა და ლიტერატურის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით შეეხება, რაც იმდენადვე ძველი საკითხია, რამდენადაც თავად ომი და ლიტერატურა. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიხმოთ ჰომეროსის უმნიშვნელოვანესი ტექსტები. მართალია, პლატონის შეხედულებით, ჰადესის საშინელებათა ჰომეროსიული აღწერილობა ხელს უშლის მებრძოლთა აღზრდას, მაგრამ „ილიადაც“ და „ოდისეაც“ ბრძოლისა და ომის ჰეროიზაციასაც ეძღვნება. ჩვენი ლიტერატურიდან საერთოდაც ისეთი შემთხვევის გახსენებაც შეგვიძლია, რომლის დროსაც აშკარად დასამორჩილებელ ომს ესხმოდა ხოტბა. მიუხედავად იმისა, რომ ვასალურ ურთიერთობათა და სამიჯნურო გამირობათა ეპოქისათვის ტარიელის ხატაელებთან ბრძოლა არ ჩანს უჩვეულოდ, მაგრამ არსებითად ის მაინც დამპყრობლურია.

ასეთი ჰარმონია ომსა და ლიტერატურას შორის უახლოეს წარსულამდე არსებობდა, სანამ განმანათლებელთა მოღვაწეობა, ერთა თვითგამორკვევის პროცესი თუ ომებისა და რევოლუციების ხანა საფუძველს არ შეურყევდა მათ ბალანსს და სასწოროს ლიტერატურის ანტისაომარი ტენდენციებისკენ არ გადახრიდა. ერთ-ერთმა პირველმა ეს მოვლენა ავსტრიელმა ქალმა ავტორმა, ბერტა ფონ ზუტნერმა, განავითარა, რომლის რომანიც „ძირს იარაღი!“ ქართულადაცაა ხელმისაწვდომი. მოგვიანებით ომის მიმართ ეს დამოკიდებულება არაერთ სხვა ავტორთანაც აისახა, მათ შორის ამერიკელი მწერლების მთელ თაობასთანაც, რომელსაც „დაკარგული თაობის“ სახელით ვიცნობთ.

თუმცა არც ეს მდგომარეობა შენარჩუნებულა დიდხანს. II მსოფლიო ომის დროს გამოვლენილმა მტრის აშკარა სახემ შეარყია ანტისაომარი განწყობების საფუძველებიც, რადგანაც ჰეროიკული სულისკვეთების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა საერთო, ცალსახა მტერთან ბრძოლა. ეს აისახა როგორც ლიტერატურაში, ისე კინემატოგრაფიაში. შედეგად დღემდე დამკვიდრებულია ლიტერატურის ომთან მიმართების ორგვარი ტენდენცია, რომელთა მაგალითებიც ერთი მწერლის ორი ტექსტის სახითაც კი შეგვიძლია ვიხილოთ. ესენია სვეტლანა ალექსიევიჩის „ცინკის ბიჭები“ და „უკანასკნელი მოწმეები“, რომელთაგან პირველი

აგრესორი ერის ფუფუნებაა და აშკარად აკრიტიკებს ომს, როგორც დამპყრობლის წამოწყებას, ხოლო მეორე თავდასხმის მსხვერპლი ქვეყნის თვალთახედვითაა შექმნილი და აშკარად უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლის სულისკვეთებას აღვივებს. ასეთი ვითარება საინტერესოს ხდის, რა ფორმას იღებს ლიტერატურისა და ომის ურთიერთობის საკითხი ისეთი მცირე ქვეყნის ეროვნულ ლიტერატურაში, როგორც საქართველოა, და როგორ ასახავს იგი ჯერაც დაუსრულებელი კონფლიქტების კოლექტიურ ტრავმას. კოლექტიური ტრავმის ასახვის თვალსაზრისით, მხატვრულმა ლიტერატურამ, შესაძლოა, მიზნად მასთან გამკლავებაც დაისახოს, ეს კი ხელოვნების იმ ფუნქციას ეთანადება, რომელიც ჯერ კიდევ არისტოტელემ განსაზღვრა, როცა კათარზისის ცნება გამოყო (არისტოტელე, 2012). მართალია, კათარზისი ასახვის ობიექტის მიხედვით მრავალგვარი შეიძლება იყოს, მაგრამ ეს როდი გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მხატვრულმა ტექსტმა ერთდროულად გადმოსცეს ტრაგიზმი, კომიზმი და აბსურდიც კი. თანამედროვე ქართული ლიტერატურიდან ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია თამარი ფხაკაძის მოთხრობა „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“. მოთხრობას ორსაფეხურიანი სიუჟეტი აქვს, რომელიც ორ სხვადასხვა, ერთმანეთში გარდამავალ კონფლიქტს წარმოაჩენს. პირველი მათგანი, რომელიც ძმებს შორის დაპირისპირებას ასახავს, ტექსტის პირველივე ფრაზით იხსნება, როდესაც მოთხრობელი, რობიზონა, ამბობს: „ჩემ ძმას გაუქრა უტვინო თავი, რო იმთავითვე ამირია საქმე“ (ფხაკაძე, 2005). ვინაიდან შემდგომ რობიზონასა და მისი ძმის, ზალიკოს, წარმომავლობას ვიგებთ — ისინი სამაჩაბლოს კონფლიქტური ზონის მომიჯნავე სოფლიდან არიან — თხრობის დამაბულობის ცენტრიც მშობლიური სახლისკენ ინაცვლებს. კონფლიქტი ძმების დიალოგის სახით ვითარდება და მათი ხასიათების დაპირისპირებით წარიმართება. თუკი რობიზონა უფრო გულწრფელი და ნაივურია, ზალიკო საკუთარი ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობის შესახებ საუბრისას საეჭვო, მძიმე და დანაშაულწარვე დუმილს ინარჩუნებს, რაც ტექსტის დასაწყისიდანვე წარმოქმნილ ინტრიგას კიდევ უფრო აძლიერებს. მიუხედავად ამისა, მოთხრობის ეს მონაკვეთიც კომიზმითაა განელებული, რომელიც რობიზონას მხრიდან ვითარებასთან სრულიად შეუსაბამო, მიამიტური რჩევით მიიღწევა: თითქოსდა ძმას სოფლის ჰაერი უშველიდეს. ასეთ კონტექსტში არც სოფლის ხსენებაა შემთხვევითი და მომდევნო დღეს, როცა ზალიკოს აშშ-ში გამგზავრებულს აღმოაჩენს, მოლოდინის მოულოდნელი გახსნა და დამაბულობის განმუხტვაც გარდაუვალი ხდება. ისევ არისტოტელეს რომ მოვუხმოთ, კვანძიც კლასიკურად იხსნება, ერთდროული პერიპეტიითა და ანაგნორისისით (რატანი, 2011), ეს უკანასკნელიც სწორედ მაცნის როლის შემსრულებელი

პერსონაჟის ხელით თამაშდება. თამრი ფხაკაძის მოთხრობის უნიკალურობა ისაა, რომ მაცნის როლს რობიზონას ტრაგედიის უნებლიე მონაწილე, მისი მშობლიური სახლის ეთნიკურად ოსი მეზობელი, ოლეგა, ასრულებს, რომელიც უკვე რობიზონას სახლის პატრონი გამხდარა. აღსანიშნავია, რომ ეს მომენტიც კომიზმითაა გაზავებული, როცა ოლეგა თავის მეზობელყოფილს მისივე სახლში ეპატიჟება

სტუმრად.

სწორედ აქედან მოთხრობის სიუჟეტის მეორე საფეხური იწყება, რომელიც შესაძლო ეთნიკურ დაპირისპირებას მოასწავებს. მშობლების სახლის ოსი მესაკუთრისთვის გასხვისების მოტივით ტექსტი გადაძახილს ქმნის კლასიკურ ნაწარმოებთან, „ჯაყოს ხიზნებთან“, და, როგორც მიხეილ ჯავახიშვილის რომანის შემთხვევაშიც იყო, რობიზონას ამბავიც ქმნის იმის მოლოდინს, რომ მთავარი პერსონაჟის დანაკარგი, შესაძლოა, პროცირდეს მისი მამულის ახალ მესაკუთრეზე. შედეგად, ოლეგას პერსონაჟი შეიძლება დატვირთულიყო მედროვისა და დამპყრობლის მხატვრული ფუნქციით და მოცემული ნიშნების გამო ეთნიკური ნიშნით მისი სტიგმატიზაცია ყოფილიყო მოსალოდნელი მკითხველის მხრიდან (პოპიაშვილი, 2011). თუმცა ოლეგას შემთხვევაში „ჯაყოს ხიზნებთან“ გადაძახილმა უფრო მის განსხვავებულობას გაუსვა ხაზი. იგი არ გვევლინება, როგორც მედროვე ან, მით უმეტეს, როგორც დამპყრობელი, რამდენადაც რობიზონას სახლი კანონიერად დაიპატრონა ზალიკოს უკანონო ქმედების შედეგად. ეს მისი სტიგმატიზაციის საფრთხეს ხსნის. თუმცა ერთია ჩვენი შეხედულება და მეორე — რობიზონას დამოკიდებულება ოლეგას მიმართ. ცხადია, მისი ეს ურთიერთობაც საკუთარ სახლთან მიმართებას უკავშირდება და თავდაპირველად იმასაც ვხედავთ, რომ რობიზონა ოლეგასადმი მწყრალადაა განწყობილი და უკვე მეორედ მიპატიჟებასაც უარობს. მაგრამ ვითარება მაშინ იცვლება, როცა კონფლიქტურ ზონაში რუსი ჯარისკაცების სახით აშკარა მტერი გამოჩნდება. 2008 წლის ომის დაწყება რობიზონას წინაშე მიწაში შემცილებელთა წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს აღვიძებს. მართალია, მას ხელი მოეცარება, როდესაც აღმოაჩნეს, რომ მას აღარავინ და აღარაფერი დარჩენია დასაცავად, მაგრამ სწორედ განაპირობებს იმას, რომ საკუთარი მამულის დაკარგვას იგი უკვე ისეთივე მასშტაბით აღიქვამს, თითქოს სამშობლოს მთელი რეგიონი ან სულაც მთელი მამული დაეკარგოს. დიახ, შედეგად სწორედ „მამულის“ ორი მნიშვნელობის შენაცვლებას ვხედავთ, იმას, რასაც ილია ჭავჭავაძე ითხოვდა თანადროული საზოგადოებისგან. მოთხრობის მთავარი პერსონაჟიც, როგორც კი დაინახავს ქართული ჯარისა და პოლიციის მაგალითს და მიხვდება, რომ ისინი სულაც არ იცავენ იმას, რაც სამაჩაბლოს მიწაზე თავად აბადიათ, იმის გაცნობიერებამდეც მივა, რომ პირადი ადგილ-მამულის დაცვა კი არ უტოლდება სამშობლოსთვის ბრძოლას, არამედ სამშობლოს დაცვა იქცევა მისთვისაც

რაღაც პირადის, მშობლიურისთვის ბრძოლად. პერსონაჟი აშკარა სულიერ ამაღლებას განიცდის და, შედეგად, იგი უკვე თავად მიდის ოლეგასთან და სთხოვს, სახლი დამაცვევინო, რაც თავისთავად გულისხმობს, ერთი მხრივ, იმას, რომ რობიზონა უკვე სცნობს მეზობლის ლეგიტიმურ უფლებას მის სახლზე და, მეორე მხრივ, იმასაც, რომ იგი ოლეგას მტრად აღარ მიიჩნევს. ეთნიკური კონფლიქტის საფრთხეც დაძლეულია.

სწორედ ამის შემდგომ ამოიზრდება თხრობისას, ერთი მხრივ, მტრისგან დაცვის თვითმიზნით კონფლიქტის ზონაში რობიზონას მიერ გაშენებული ბოსტანის სიმბოლოც; მეორე მხრივ კი, ეს ერთი შეხედვით აბსურდული წამოწყება საბოლოოდ გამოკვეთს ტექსტის იდეურ მიზანდასახულობასაც, რადგან მთელი ყურადღება თხრობის დასაწყისიდანვე წამოჭრილი და სხვადასხვა ფორმით რეალიზებული დაპირისპირებისკენ ინაცვლებს: ესაა ტრადიციული ბინარული წყვილის, რაციონალიზმისა და ირაციონალიზმის ოპოზიცია. იმისათვის, რომ წარმოჩნდეს, რა და რა სახით უპირისპირდებიან ისინი ერთმანეთს და რომელს ენიჭება უპირატესობა, შეგვიძლია მოვიხმოთ პერსონაჟთა დამოკიდებულებანი და ის, თუ რომელი მათგანისკენ მიიპყრობა თხრობის მთელი ყურადღება.

ზალიკოს ქმედება თავიდანვე კეთილგონიერებად შეიძლება შეირაცხოს, რადგან მან კონფლიქტური ზონა კეთილდღეობისთვის მიატოვა. თუმცა მისი ნამოქმედარის ეფექტის სცენის გარეთ გადანაცვლების შემდეგ ტექსტის მთელი ყურადღება რობიზონასკენ იხრება. თავის მხრივ, მისი ბოსტანის idea fixa სიშლეგედ, სისულელედ შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა თავად ეს პერსონაჟი, ისევე, როგორც მისკენ განწყობილი მოთხრობა, აშკარა უპირატესობას სწორედ ირაციონალიზმს ანიჭებს, მას ისევე ასაზრდოებს რაციონალიზმის შედეგებით, როგორც „სინათლე არსებობს მხოლოდ სიბნელის გამო“ (ბრეგამე, 2020). ყოველივე ეს ტრადიციული ბინარული ოპოზიციების წევრებიდან რომელიმეს უპირატესობას მოასწავებს ხოლმე, რაც საბოლოოდ შედეგითაც დასტურდება: რობიზონასთან უკვე მესამედ მიდის ოლეგა და თავად სთავაზობს, დააცვევინოს საკუთარი სახლი. რობიზონაც ფიცს დებს, რომ ბოლომდე იბრძოლებს როგორც საკუთარი ბოსტანისთვის, ისე ოლეგას სახლისთვისაც.

სწორედ ასე ჩვენ ვიხილეთ ერთი პერსონაჟის მეტამორფოზი რიგითი აზროვნების ტიპური ადამიანიდან გამირული სულისკვეთების პიროვნებამდე და ეს გზა არაერთი აქტუალური კონფლიქტური სიტუაციის დაძლევის გამოცდილებითაც გავიარეთ, რამაც საბოლოოდ, ტექსტის იდეური მიზანდასახულობის სახით, წარმოაჩინა, რომ ტრავმის დაძლევა შეუძლია, ერთი შეხედვით,

სწორედ ისეთ დამოკიდებულებას მოვლენების მიმართ, რომლებიც შეცდომით ირაციონალობად შეიძლება შეირაცხოს.

გამოყენებული ლიტერატურა :

1. არისტოტელე. პოეტიკა.-თბ., 2012
2. ბრეგაძე ლ. პოსტმოდერნიზმი ქართულ მწერლობაში.- თბ.: არტანუჯი, 2020.
3. პოპიაშვილი ნ. ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში.- თბ.: უნივერსალი, 2011.
4. რატიანი ი. ფაბულა და სიუჟეტი.-თბ. : ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011.
5. ფხაკაძე თ. ბოსტანი კონფლიქტის ზონაში.- თბ.: პალიტრა L, 2005.

მარი ბაიდარაშვილი

მათე ედესელის ერთი ცნობის შესახებ (დავით აღმაშენებლის ძმის ვინაობის გარკვევისათვის)

საქართველოს ისტორიაში გამორჩეული ადგილი უკავია დავით IV აღმაშენებლის (1089-1125) მეფობას, რომელმაც საქართველოს შეუწყო ხელი პოლიტიკურ აღმავლობას. დავითის გამეფებას საინტერესოდ აღწერს დავითის ისტორიკოსი „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითაში“, ტექსტში ვკითხულობთ: „ბნელსა უკუნსა შინა იწყო აღმოცისკრებად მზემან ყოველთა მეფობათამან, დიდმან სახელითა და უდიდესმან საქმითა, სახელ-მოდგამმან დავით, ღმრთისა მამისამან, და თვთ სამეოცდამეათურამეტემან შვილმან ამის დავითისმან, დავით“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 323). თექვსმეტი წლის დავითს საქართველოს სამეფო ტახტზე მეტად დამაბული მდგომარეობა დახვდა, საქართველოს სამეფოს ტერიტორია განადგურებულია თურქ სელჩუკთა შემოსევებით, მოსახლეობა მეტად გამოუვალ მდგომარეობაშია, დაცარიელებულია ციხე-ქალაქები და სოფლები. „რამეთუ მეფე იქმნა რა დავით, მოოჭრებულ იყო ქართლი და თვნიერ ციხეთა სადამე არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არ-ცა-რა შენებულობა“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 324).

დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა იყო ქართული სამეფოების გაერთიანების დასასრული და ერთიანი ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბების ხანა. დავითის დროს ხდება ძალაუფლების ცენტრალიზაცია, მომთაბარე თურქმანთა განადგურება და სელჩუკთა ბატონობის დასასრული. დავითის მიერ წარმოებული სამხედრო კამპანიების დამსახურებით გაიზარდა საქართველოს სამეფოს საზღვარი, საკუთარ გავლენას დაუქვემდებარა ამიერკავკასიის ტერიტორია. მისი წარმატებული სამხედრო პოლიტიკა განაპირობა თვისობრივად ახალი არმიის შექმნამ.

საზღვარგარეთ ქართული კულტურული საგანმანათლებლო ცენტრების გაჩენა საერთაშორისო მასშტაბით ხაზს უსვამს დავითის გავლენასა და ავტორიტეტს. დავით მეფის მოღვაწეობის მთავარი შედეგი იყო ის, რომ მან თავის მემკვიდრეებს დაუტოვა ძლიერი სამეფო, წარმატებული ინსტიტუტებითა და ჩამოყალიბებული სტრატეგიით. საქართველო საუკუნის განმავლობაში მთელი აღმოსავლური სამყაროსთვის ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდა. ეს არის არასრული ჩამონათვალი იმ წარმატებებისა, რასაც საქართველოს სამეფომ მიაღწია სათავეში დავითის დამსახურებით.

დავით აღმაშენებლის გაძლიერებული სამეფო საქართველოს ისტორიის მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღებისა და შესწავლის საგანს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მისი

მოღვაწეობის შესწავლას მრავალი ნაშრომი მიეძღვნა კვლავ რჩება საკითხები, რომლებიც საჭიროებს კვლევა-ძიებას, კერძოდ, მათე ედესელთან მოხსენიებული დავით აღმაშენებლის უცნობი ძმის, თოტორმეს, იდენტიფიკაციის საკითხი, რომლის ირგვლივ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია რამდენიმე ვარაუდი.

ვიდრე უშუალოდ საკითხზე გადავიდოდეთ, აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ამ პრობლემის გარშემო არსებული წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით დავითის უცნობ მემატრიანესა და სომეხი ისტორიკოსის, მათე ედესელის, ნაშრომებს. ხსენებულ მემატრიანეთა ცნობები ურთიერთგამომრიცხავია.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის, ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, ვინაობა უცნობია. ის დაწერილი უნდა იყოს XII საუკუნის 30-იან წლებში, უშუალოდ, დავითის გარდაცვალების შემდგომ პერიოდში. ავტორი აღწერს დავით მეფის ცხოვრებასა და მოღვაწეობას დაბადებიდან გარდაცვალების ჩათვლით. ტექსტის ნაწილი ნაკლულია, რომელშიც, როგორც ჩანს, დავითის დაბადება იყო მოთხრობილი. იგი უნდა იყოს დავითის მოღვაწეობის თვითმხილველი, თანამედროვე და მასთან დაახლოებული პირი (მეტრეველი, 2002: 17). მკვლევართა ნაწილის (ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე, კ. გრიგოლია, ჯ. ოდიშელი) აზრით, ის უნდა იყოს არსენ ბერი, რომელიც დავითის ანდერძებში მეფის სულიერ და ხორციელ საქმეთა წარმმართველად იხსენიება. სწორედ, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ არის ის ძირითადი წყარო, რომელიც გვეუბნება, რომ დავითი იყო ერთადერთი ვაჟიშვილი გიორგი მეფისა. ტექსტში ვკითხულობთ: „მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქრონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა“ (ყაუხჩიშვილი, 1955: 324).

ამავდროულად, ჩვენს ხელთაა ცნობილი სომეხი ისტორიკოსის, მათე ედესელის (XI-XII სს.), ნაშრომი „ქრონოგრაფია“, რომელშიც დაცული ცნობა უშუალოდ უპირისპირდება დავითის ისტორიკოსს. ნაშრომი გადმოგვცემს 952-1163 წლების ამბებს. მათე ყურადღებას უთმობს საქართველოში განვითარებულ მოვლენებსაც. მისი „ქრონოგრაფია“ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ იძლევა საგულისხმო ცნობებს (დავლიანიძე, 1966: 242). აქვეა აღსანიშნავი, რომ მათე ედესელის ცნობები სანდოობით სარგებლობს. ტექსტი მდიდარია როგორც ფაქტოლოგიური, ასევე ქრონოლოგიური მასალით, რაც, უმეტესწილად, სანდო ნარატივია. ის ცნობებს გვაწვდის ყველა იმ სამეფო-სამთავროს შესახებ, რომლებთანაც დაკავშირებულნი იყვნენ სომეხები, დაცულია ზოგი ისეთი საყურადღებო ცნობა, რომელსაც ვერ ვხვდებით თანადროულ ბიზანტიურ, არაბულ, სირიულ და ლათინურ საისტორიო თხზულებებში, არის მოსაზრება, რომლის თანახმად, მას

საქართველოს სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენები უნდა სცოდნოდა აქ მცხოვრები სომხებისგან. მათე ედესელი ახსენებს 1123 წლების ამბების თხრობისას დავითის ძმას, თოტორმეს. ქრონიკაში ვკითხულობთ: „მეფე დავითს ჰყავდა ერთი ღვიძლი ვაჟი სომეხი ცოლისგან, სახელად დემეტრე, ხოლო მეფის ძმას თოტორმეს ეძახდნენ“ (Dostourian, 1993: 231). ამ ცნობის გათვალისწინებით, გვაქვს მყარი საფუძველი ვარაუდისა, რომ გიორგი II-ს გარდა დავითისა, ჰყავდა მეორე ვაჟიშვილი სახელად თოტორმე, რომლის შესახებ მხოლოდ ერთადერთი, ზემოთ აღნიშნული წყარო გვაწვდის ცნობას.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მათე ედესელის „ქრონოგრაფია“ XVII და შემდგომი საუკუნეების ხელნაწერებითაა მოღწეული. ექვსი ხელნაწერიდან ერთ ერთში სახელი „თოტორმეს“ მაგივრად „თოტორე“ იკითხება. ახალ გამოცემაში სწორედ აღნიშნული სახელი, „თოტორე“, იქნა გადატანილი მათე ედესელის კრიტიკულად დადგენილ ტექსტში. გამომცემელი ჰ. ბართიკიანი, ამასთანავე, ითვალისწინებს მამტოცის მატენადარნში დაცულ ხელნაწერებსაც, „თოტორე“ ანუ თოდორე ჩვენში გავრცელებული სახელის თედორე-თევდორეს სომხური ფორმაა, აქვე აღსანიშნავია, რომ იგივე მათე ედესელი ჩვენთვის კარგად ნაცნობ ბიზანტიის იმპერატრიცა თეოდორას (1055-1056) „თოტორ“-ს ეძახის (აბდალაძე, 1978: 97). ყველაფერი ამის გათვალისწინება კი მნიშვნელოვანია ამ საკითხზე მსჯელობისას. სწორედ ამ ფაქტების საფუძველზე, ალექსანდრე აბდალაძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ აღნიშნული „თოტორე“ იგივე „თევდორეა“, რომელსაც აიგივებს გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწულ თევდორესთან, ეს უკანასკნელი მოხსენიებულია დავითის ისტორიკოსის მიერ. ა. აბდალაძის აზრით, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს საკუთარი დისწული შვილივით უნდა აღეზარდა, ამის საფუძველზე უნდა დაახლოებულიყო თევდორე დავით მეფესთან და სწორედ ამ სიახლოვის გამო აბდალაძე აცხადებს, რომ მათე ედესელმა თევდორე დავით IV აღმაშენებლის ძმად მიიჩნია. ა. აბდალაძემ ჩამოაყალიბა ორი ძირითადი მიზეზი, რომლის მიხედვითაც უარყოფს ძმის შესაძლო არსებობას, კერძოდ: 1) დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით, 16 წლის დავითს „მარტოდ შობილსა გიორგისგან თვთ მამამან დაადგა გვრგვნი მეფობისა“ ე.ი. დავითს ძმა არ ჰყოლია; 2) სახელი თოტორმე არც საქართველოში და, ალბათ, არც სხვაგან გვხვდება (აბდალაძე, 1978: 98).

განსხვავებული მოსაზრება გააჩნია ლერი თავაძეს, რომელიც თვლის, რომ თოტორმე გიორგი II-ის არალეგიტიმური ვაჟია. იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესს ჰყავდა მეორე დისწულიც, სახელად სვიმონი, რომელიც თევდორესთან შედარებით, უფრო გავლენიანი და დაწინაურებული პიროვნება გახლდათ, თუმცა, სვიმონი მათე ედესელის მიერ არ

არის მოხსენიებული, როგორც დავით აღმაშენებლის ძმა. ლერი თავაძემ საინტერესო პარალელი გაავლო გიორგი IV ლაშას მემატანესთან, რითაც მოგვცა საშუალება დავითის ისტორიკოსის ქმედება, ძმის არ მოხსენიება, ჩვენთვის გასაგები ყოფილიყო. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ თამარის ძეს, გიორგი IV ლაშას, ჰყავდა ვაჟი, დავით ულუ, თუმცა მიუხედავად ამისა, მეფის ისტორიკოსი, რომელიც ამავე დროს მისი თანამედროვეა, მკაფიოდ უსვამს ხაზს კონკრეტულ გარემოებას, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ მეფეს არ ჰყოლია ვაჟი, „და არა დარჩა ცოლსა თანა გვრგვნისა შვილი“ (მეტრეველი, 2008: 357). აღნიშნული გარემოება გამოწვეული შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ფაქტორით, დავით ულუს არალეგიტიმურობით. დაახლოებით იგივე სიტუაცია შეიძლება ყოფილიყო დავით IV-ის ისტორიკოსის შემთხვევაშიც, მიუხედავად იმისა, რომ მან იცოდა თოტორმე გიორგი II-ის უკანონო ვაჟია, ქორწინების მიღმა შეძენილი, მან ეს ყოველივე არ აღნიშნა (Tavadze, 2021: 351-353).

ამავე საკითხს ეხმაურება კირილ თუმანოვი, თუმცა მისი მოსაზრება სრულიად განსხვავებულია, თუმანოვის გენეალოგიური ტაბულის მიხედვით, მათე ედესელის მიერ მოხსენიებული თოტორმე დავითის დად არის მოხსენიებული, ე.ი. გიორგი II ის ქალიშვილად (Toumanoff, 1976: 122).

თუმანოვის გენეალოგიური ტაბულის საფუძველზე ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა, რობერტ უილიამ ტომსონმა, გაიზიარა ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, თოტორმე გიორგი II-ის ქალიშვილია (Thomson 1996: 328). ეს ყოველივე შეიძლება აიხსნას მათეს ცნობის არასწორი წაკითხვით, სხვა საფუძველი ამ მოსაზრებას არ გააჩნია.

ფაქტია, რომ კანონიერი ქორწინების გარეთ ურთიერთობას თან სდევდა უკანონო შვილების გაჩენა. ის, რომ აღნიშნული პრაქტიკა ხშირი იყო ამ პერიოდში მოწმობს გიორგი III-ის ქორწინების მიღმა შეძენილი ქალიშვილი. ამ უკანასკნელს იხსენიებს „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი იქ, სადაც საუბარია თამარის ხელმეორედ გათხოვებაზე. ტექსტში ვკითხულობთ: „იყო ვინმე ერთი ხარჭათაგანისა ნაშობი, რეცა სახელდებული შვილად მეფისა“ (მეტრეველი, 2008: 418). აღნიშნული წყაროს ავტორი გვეუბნება, რომ თამარის მთხოვნელს, არზრუმელ უფლისწულ მუტაფრადინს, თამარის გადაწყვეტილებით, ხარჭათაგანის შობილი ქალი მიათხოვეს. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, აღნიშნული ხარჭათაგანის ქალიშვილი თამარის და რუსუდანია, ეს გარემოება მეტად საეჭვოა, ვინაიდან რუსუდანს სამეფო კარზე გამორჩეული ადგილი უკავია. იგი მოხსენიებულია მამიდის რუსუდანის და დავით სოსლანის გვერდით. ამდენად, ქართული წყაროს მეშვეობით, ცნობილია, რომ გიორგი III-ს ჰქონდა ქორწინების მიღმა ურთიერთობა ხარჭასთან, რომლისგანაც მეფეს ქალიშვილი შეეძინა (სამუშია,

2003: 99).

არალეგალური ურთიერთობები ამ პერიოდის საქართველოში არ იყო იშვიათი, შესაძლებელია იგივე ვივარაუდოთ დავით აღმაშენებლის შემთხვევაშიც, როდესაც ვკითხულობთ დავითის მიერ შექმნილ „გალობან სინანულისანს“. „მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ ხენშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ (გრიგოლაშვილი, 1989: 24). მასში სიტყვა-სიტყვით წერია, რომ სჯულისა და ქორწინების წესს ბრძოლა გამოვუცხადე და ბოროტებით ვიმძლავრე ჩემს საწოლზე, ქორწინებაზე. საუბარია, ალბათ, დავითის პირველ ცოლზე, რომლის შესახებ ცნობები მწირია. მათე ედესელის ცნობის მიხედვით, პირველი ცოლი წარმოშობით სომეხია. მისგან შეეძინა დავითს დემეტრე I, კატა და თამარი (სამუშია, 2002: 55). დავითის სიტყვები, „ხენშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა“ მიგვითითებს არალეგალური ურთიერთობისკენ, რომელიც შესაძლებელია დავითს ჰქონდა, ესაა მხოლოდ ვარაუდი, რომელიც სხვა წერილობითი წყაროებით არ დასტურდება. თუ შევაჯამებთ ზემოთ მიმოხილულ საკითხებსა და კონკრეტულ ფაქტებს, მივალთ დასკვნამდე, რომ ალექსანდრე აბდალადის მოსაზრება, უშუალოდ თოტორმეს გაიგივება გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის დისწულ თევდორესთან, ნაკლებად არგუმენტირებული და გასათვალისწინებელია. თუმცა, მიუხედავად ამისა, აუცილებლად ყურადსაღებია სახელის არასწორი ფორმით გადმოცემა მათე ედესელის კრიტიკულად დადგენილ ტექსტში. მიგვაჩნია, რომ უფრო სწორი ფორმა უნდა იყოს „თოტორე“//„თოდორე“ (რასაც შეესაბამება ქართულში დამკვიდრებული „თევდორე“) და არა – „თოტორმე“. მათე ედესელის მიერ ნახსენები „თოტორე“, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო გიორგი II-ის არალეგიტიმური ვაჟი, შესაბამისად, დავით IV აღმაშენებლის ძმა. მათე ედესელისთვის მიწოდებული ინფორმაცია, დიდი ალბათობით, არ უნდა ყოფილიყო ცრუ ან სახეშეცვლილი, ვინაიდან ის კარგი იყო ინფორმირებული საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ხოლო დავითის შესახებ მოწოდებული სხვა ცნობები, ძირითადად, დასტურდება სხვა ისტორიული წყაროებითაც.

გამოყენებული ლიტერატურა :

- 1) აბდალაძე ა. დავით აღმაშენებლის „ძმის თოტორმე“-ს გამო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე: ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია: 1.- 1978.- გვ. 96-99.
- 2) გრიგოლაშვილი ლ. დავით აღმაშენებელი. გალობანი სინანულისანი.- თბილისი, 1989.-გვ. 19-29.
- 3) დავლიანიძე ლ. მათე ურჰაელის ცნობები დავით აღმაშენებლის შესახებ: საქართველო

- რუსთაველის ხანაში: რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული.- თბ., 1966. -გვ. 242-252.
- 4) მეტრეველი რ. დავით აღმაშენებელი და მეფე თამარი.-თბ., 2002.-გვ. 15-49.
- 5) მეტრეველი რ. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. ქართლის ცხოვრება.-თბ.,2008.- გვ. 377-482.
- 6) სამუშია ჯ. ბაგრატიონთა სამეფო ოჯახი (XI-XII სს.): გენეალოგიური ნარკვევი.-თბ. 2003.-გვ. 99-109.
- 7) ყაუხჩიშვილი ს. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი. ქართლის ცხოვრება: 1.-თბ.,1955.-გვ. 318-364.
- 8) Armenia and the Crusaders: The Chronicle of Matthew of Edessa. Translated by A. Dostourian.- New York, London.-1993.-p. 231.
- 9) Tavadze L. Some details on the biography of David Agmashenebeli // ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები: XVII.- თბ., 2021.- გვ. 349-353.
- 10) Thomson R. Rewriting Caucasian History. The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles: The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation.-1996.- p. 328.
- 11) Toumanoff C. Manuel de généalogie et de chronologie pour l'histoire de la Caucasic chrétien (Arménie - Géorgie - Albanie).-Roma, 1976.-p. 122.

ნინი ჩარკვიანი

ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში: ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მე-18 საუკუნეში

შესავალი

ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც ინგლისში მე-18 საუკუნის ბოლოს და 19-ე საუკუნის დასაწყისში დაიწყო, მსოფლიო ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და გარდამტეხი მოვლენა იყო [Stearns, Peter N. 1993: Pg. 10-25]. ეს ცვლილებები უკავშირდებოდა ფართო ტექნოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკურ ცვლილებებს, რომლებმაც ხელი შეუწყო მთელი მსოფლიოს ინდუსტრიალიზაციას. ინგლისი, რომელმაც პირველმა განიცადა ინდუსტრიული რევოლუცია, გახდა მსოფლიოში გლობალური ეკონომიკის ცენტრი, სადაც წარმოების პროცესები, შრომის ორგანიზება და სოციალური სტრუქტურები რადიკალურად შეიცვალა. ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად ინგლისმა შექმნა ისეთი ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო თანამედროვე კაპიტალიზმის, ტექნოლოგიური ინოვაციებისა და გლობალიზაციის განვითარებას [Piketty, Thomas, 2014: Pg. 134-156]. ამ სტატიაში განვიხილავთ ინდუსტრიული რევოლუციის ეკონომიკურ და სოციალურ ზემოქმედებას ინგლისში მე-18 საუკუნეში, მის პროცესებს, შედეგებს და თანამედროვეობაზე გავლენას [Marr, Andrew, 2009: Pg. 200-230].

ინდუსტრიული რევოლუციის წინაპირობები

ინდუსტრიული რევოლუციის დაწყება არ იყო მოულოდნელი მოვლენა, არამედ მას ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი წინაპირობა, ძირითადად დაკავშირებული იყო აგრარულ და ხელოსნურ ეკონომიკასთან, [Bayly, C.A, 2003: Pg. 102-145] რომელიც თანდათანობით გარდაიქმნა ინდუსტრიად. ინგლისში ამ პროცესის დაწყება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის ზემოქმედებით მოხდა: ინდუსტრიული რევოლუციის ყველაზე გამორჩეული და გადამწყვეტი ასპექტი იყო ტექნოლოგიური ინოვაციების სწრაფი განვითარება, რომლებიც საგრძნობლად ზრდიდნენ წარმოების ეფექტურობას და აადვილებდნენ მრავალი შრომატევადი პროცესის ავტომატიზაციას. ზოგიერთი გამოგონება, რომელიც ამ პერიოდში ფართოდ გამოიყენებოდა, გახდა ინდუსტრიალიზაციის განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

1. ტექნოლოგიური ინოვაციები

ორთქლის ძრავა (James Watt)

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური ინოვაცია, რომელიც საფუძვლად დაედო ინდუსტრიული რევოლუციის სწრაფ განვითარებას, იყო ორთქლის ძრავა. ამ ძრავების განვითარებამ შეუწყო ხელი წარმოების პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა შრომის პროდუქტიულობა. [Smith, Adam. 1776: Pg. 300-325 ; Pg. 400-420] ჯეიმზ ვატმა (James Watt) 1769 წელს განახლებული ორთქლის ძრავა გამოიგონა, რომელიც უფრო ეფექტურად და იაფად აწარმოებდა ენერჯის, რაც დაუყოვნებლივ გამოიყენეს წარმოებაში. [Allen, Robert C., 2009: Pg. 50-78]

ორთქლის ძრავამ დაიწყო ქარხნების, საბადოების, მეტალურგიული და ტექსტილის წარმოებების ენერგეტიკული სისტემების ცენტრალიზება.

ეს ტექნოლოგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რკინიგზისა და გემების განვითარებისათვის.

ჯენი (Spinning Jenny)

მეორე მნიშვნელოვანი გამოგონება, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია, იყო ჯენი — მექანიკური სართავი მანქანა, რომელიც გამოიგონა ინგლისელმა გამომგონებელმა ჯეიმზ ჰარგრისმა 1764 წელს. [Hudson, Pat. 1992:] ჯენი, რომელიც ხელს უწყობდა ძაფის სწრაფად და ეფექტურად ტრიალებას, მექანიზირებული წარმოების გზაზე დიდ ნაბიჯს გადადგა. მისი გამოყენება გამოიწვია ბამბის მექანიზირებული წარმოების ზრდა, რაც თავისი მხრივ ბაზარზე წარმოების რაოდენობის და ხარისხის ზრდას უწყობდა ხელს.

2. ბუნებრივი რესურსები

ინგლისში ინდუსტრიული რევოლუცია არ იყო მხოლოდ ტექნოლოგიურ ინოვაციებზე დამოკიდებული. ბუნებრივი რესურსების, განსაკუთრებით ქვანახშირისა და რკინის, გამოყენება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წარმოების პროცესების გაფართოებასა და ინდუსტრიალიზაციის პროცესის სწრაფად განვითარებაში. [Bayly, C.A. 2003: Pg. 102-145]

ქვანახშირი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ენერჯის წყარო, რომელიც გამოიყენებოდა როგორც ენერგეტიკული რესურსი, განსაკუთრებით ორთქლის ძრავებისა და სხვა მანქანების მუშაობისთვის. ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდში ინგლისი მდიდარი იყო ქვანახშირის ნადავლებით, რომელიც გამოიყენებოდა ფაბრიკებში და სამთო მრეწველობაში.

XVII-XVIII საუკუნეებში დადგა დრო, როდესაც კოქსისა და ქვანახშირის გამოყენებამ

რადიკალურად შეცვალა რკინის წარმოების ტექნოლოგიები. ახალი მეთოდებით რკინა უფრო

ხელმისაწვდომი გახდა, და მისი წარმოება უფრო იაფი და სწრაფი გახდა. რკინის სწრაფი წარმოება, მეტალურგიის განვითარება და მისი გამოყენება მანქანების, რკინიგზების, ორთქლის ძრავების და სხვა მრეწველობის მრავალი პროდუქტისათვის წარმოების ერთ-ერთი საყრდენი გახდა.

3. მაღალი მოთხოვნილება

ინდუსტრიალიზაციის დაწყებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მაღალი მოთხოვნილება არა მხოლოდ ადგილობრივ, არამედ გლობალურ ბაზრებზე. ინდუსტრიული რევოლუციის პერიოდის დასაწყისში ბამბა და ქსოვილები, რომლებიც წარმოებული იყო ინდოეთში, დასავლეთ ინდოეთის კოლონიებში და სხვა ქვეყნებში, უფრო დიდი მოთხოვნილება ჰქონდა.

ინდოეთი იყო ბამბის ყველაზე დიდი მწარმოებელი, როდესაც ინგლისში დაიწყო ბამბის მასობრივი წარმოება, საჭირო იყო მანქანების გამოგონება. ინგლისმა, განსაკუთრებით იმ პერიოდში, დაიწყო ფართო მასშტაბიანი ბამბის გადამამუშავება და გახდა მთავარი საექსპორტო ქვეყანა ბამბის წარმოებაში, რადგან მისი საწარმოები იღებდნენ უდიდესი რაოდენობის ბამბას, რომელსაც შესანიშნავად გადამამუშავებდნენ ადგილობრივ ფაბრიკებში.

ეკონომიკური ცვლილებები

ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში გამოხატავდა არა მხოლოდ ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებების შედეგებს, არამედ ეკონომიკური სისტემის საფუძვლიან გარდაქმნას. [Thompson, E.P. 1963: Book II Pg. 300-325]

მასთან დაკავშირებული პირველი და ყველაზე აშკარა ცვლილება იყო მექანიზებული წარმოების დანერგვა და ქარხნების ფორმირება, რაც საფუძვლად დაედო ახალ, ინდუსტრიულ ეკონომიკურ მოდელს.

მექანიზირებული წარმოება და ქარხნების შექმნა

ამ რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევას იყო ისეთი მექანიზმების შექმნა, რომლებიც წარმატებით ჩანაცვლებდნენ ხელით შრომას და გაადვილებდნენ წარმოების პროცესს. მაგალითად, ბამბის საფეიქრო მრეწველობაში აღმოჩენილმა ჯენის სართავი მანქანამ, რომელიც 1765 წელს შეიმუშავა ინგლისელმა ფერმერმა ჯეიმზ ჰარგრისმა, მნიშვნელოვნად გაზარდა ტექსტილის წარმოების ეფექტურობა. ამ დანადგარის გამოგონება, რომელიც საშუალებას იძლეოდა გაცილებით სწრაფად წარმოებულიყო ბამბის ძაფები, რევოლუცია მოახდინა საფეიქრო მრეწველობაში და საფუძველი ჩაუყარა ქარხნებში მექანიზებული წარმოების სისტემას. ამის შედეგად, წარმოება

გადაიზარდა დიდ ქარხნულ საწარმოთა სისტემად, სადაც მანქანების მეშვეობით წარმოების პროცესი გაცილებით უფრო სწრაფი და იაფი გახდა.

ქარხნების შექმნამ შეამცირა სოფლისა და ქალაქს შორის არსებული საზღვარი. ის გარდაქმნიდა სოფლის მოსახლეობას ურბანულ მუშათა კლასად. დიდმა ქარხნებმა დაიწყეს მუშახელის დაქირავება, რამაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად გაზარდა ადგილობრივ მოსახლეობაში ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ტრანსპორტი და ინფრასტრუქტურა ინდუსტრიული რევოლუცია შეიცავდა ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის სფეროში უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს, რომლებიც პირობითად შეიძლება გავყოთ სამ ძირითად კატეგორიად: წყალის ტრანსპორტი, რკინიგზა და ინფრასტრუქტურა. 18-ე საუკუნეში ინგლისში, განსაკუთრებით მდინარეების გზით, გაძლიერდა წყალის ტრანსპორტი. [Encyclopaedia Britannica. 2024:] მდინარეების, ნაოსნობისა და კანალების სარგებლობის გაზრდამ მოიტანა ახალ შესაძლებლობები და მნიშვნელოვნად გაზარდა საქონლის გადაზიდვები. კანალების ქსელი, როგორცაა ლივერპულის კანალები და სხვა სატრანსპორტო არხები, წარმოების განვითარებასთან ერთად გახდა „პარტნიორი“ შიდა რკინიგზა: რკინიგზის მშენებლობა და ორთქლზე მომუშავე მატარებლების გამოგონება 19-ე საუკუნის შუა პერიოდში იქცა ინდუსტრიული რევოლუციის კიდევ ერთ წამყვან მძლავრ ძალად. 1825 წელს, მსოფლიოს პირველი ორთქლძაღვი ლოკომოტივის გამოყენებით, შეიქმნა ლივერპულისა და მანჩესტერს შორის პირველი რკინიგზა, რომელიც არა მხოლოდ მექანიკური წარმოების განვითარებას შეუწყო ხელი, არამედ ქალაქებს შორის ეკონომიკური კავშირების გაღრმავებასაც. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა: პარალელურად, მნიშვნელოვანი განვითარება მოხდა გზების გაუმჯობესებაში, რაც ასევე აუცილებელი იყო სავაჭრო ტრანსპორტისთვის. ახალი გზების დაგება, სარწყავი სისტემების გაუმჯობესება და სატრანსპორტო საშუალებების, განსაკუთრებით ცხენით დატვირთული ეტლების გამოყენების ზრდა, დაეხმარა საქონლის გადაადგილების ზრდას და წარმოების გაძლიერებას.

სოციალური ცვლილებები ინდუსტრიულმა რევოლუციამ არა მხოლოდ ეკონომიკაში მოიტანა ცვლილებები, არამედ სერიოზული ტრანსფორმაცია მოახდინა სოციალურ სტრუქტურაში. [E.P. Thompson, 1963:] ახალი ეკონომიკური ურთიერთობების წარმოქმნას თან ახლდა სოციალურ კლასებში ღრმა ცვლილებები,

რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი იყო რევოლუციის. ქარხნებისა და მასიური წარმოების გამოფენის შედეგად შეიქმნა ორი ძირითადი სოციალური კლასი: ბურჟუაზია (ინდუსტრიული მეწარმეები, რომლებიც ფლობდნენ წარმოების საშუალებებს, ქარხნებსა და მანქანებს) და პროლეტარიატი (შრომის ძალა, რომელიც ძირითადად ქალაქებში, ქარხნებში მუშაობდა, ხშირად მძიმე პირობებში). ბურჟუაზია, რომელიც ადრე წარმოდგენილი იყო როგორც ვაჭრებისა და საშუალო კლასის წევრების მიერ, ახლა გახდა წამყვანი ეკონომიკური ძალა. ქარხნის მფლობელები და ინდუსტრიული მეწარმეები, რომლებიც საჭირო რესურსებს (როგორცაა ნედლი მასალები, მანქანები და სამუშაო ძალა) აწარმოებდნენ, განსაზღვრავდნენ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას და საზოგადოების სტრუქტურას. ეს კლასი უფრო და უფრო სიმდიდრეს იკრებდა და აგროვებდა ძალაუფლებას, როგორც შრომის მენეჯმენტის, ასევე გლობალური ვაჭრობისა და ინვესტიციების მართვის სფეროებში.

მეორეს მხრივ, პროლეტარიატმა განიცადა არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური პრობლემებიც. სამუშაო პირობები ქარხნებში ხშირად აუტანელი იყო — ხანგრძლივი სამუშაო საათები, [O'Brien, Patrick. 1993; Pg. 15-34] დაბალი ხელფასი, სავალალო ჰიგიენური და უსაფრთხოების პირობები, ბავშვთა შრომა და ქალთა დისკრიმინაცია. მიუხედავად იმისა, რომ წარმოების ეფექტურობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მუშების მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ შეიცვალა, რამაც გამოიწვია პროტესტი და მოძრაობები, რომლებიც ემყარებოდა შრომის უფლებების დაცვას, უკეთეს სამუშაო პირობებს და სამართლიან ხელფასებს.[Engels, Friedrich, 2009; Pg. 67-89]

ქალაქის ურბანიზაცია და სოციოლოგიური ცვლილებები ინდუსტრიულმა რევოლუციამ ასევე გამოიწვია უმნიშვნელოვანესი ცვლილებები ქალაქების სტრუქტურაში, რაც კერძოდ, ურბანიზაციის პროცესში გამოიხატა. [Hudson, Pat, 1992.] ქალაქებში, სადაც წარმოება იყო კონცენტრირებული, დაიწყო მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია. სოფლებისა და პატარა ქალაქების მცხოვრებლები მიჰყვნენ სამუშაოს ძიებას, რამაც გამოიწვია ქალაქების უპრეცედენტო ზრდა. მაგალითად, ლონდონი, მანჩესტერი, ბირმინგემი და ლივერპული სწრაფად გადაიქცა არა მხოლოდ ინდუსტრიულ ცენტრებად, არამედ ადამიანთა ინტენსიური მიგრაციის ცენტრად.

თუმცა, ურბანიზაციის პროცესმა გაამწვავა მრავალი სოციალური პრობლემა. სოფლიდან ქალაქში გადმოსული მუშები ხვდებოდნენ მჭიდროდ დასახლებულ საცხოვრებელ რაიონებში, სადაც შრომის

პირობები და სანიტარული მდგომარეობა ხშირად სავალალო იყო. ამ დროისათვის სოციალური უთანასწორობა კიდევ უფრო გამწვავდა, რადგან საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის განსხვავებები თვალსაჩინო გახდა. როგორც სამუშაო ძალა, ისე მდიდარი მეწარმეები თუ მაღალჩინოსნები მკვეთრად განსხვავდებოდნენ არა მხოლოდ შემოსავლის მიხედვით, არამედ ცხოვრების პირობებითაც.

სოციოლოგიური თვალსაზრისით, ინდუსტრიული რევოლუცია გახდა საფუძველი ახალი სოციალური ნორმებისა და მენტალიტეტის ჩამოყალიბებისთვის. ბევრი ადამიანი აღიქვამდა ქალაქის პირობებს როგორც ახალ შესაძლებლობებს, სადაც აღარ იყო საჭირო მიწის დამუშავება ან ტრადიციული ხელოსნობის განხორციელება.

ინდუსტრიული რევოლუცია და გარემო ინდუსტრიულმა გაფართოებამ და ტექნოლოგიურმა ინოვაციებმა გამოიწვია მნიშვნელოვანი და ფართო მასშტაბის ეკოლოგიური პრობლემები, [A&E Television Networks. 2023: Pg. 145-170] რომელთა შედეგებს ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვგრძნობთ. მიუხედავად იმისა, რომ რევოლუციამ გაზარდა წარმოება, გაზარდა გლობალური ვაჭრობა და ხელი შეუწყო ტექნოლოგიური პროგრესის ამაღლებას, ის ასევე გახდა მიზეზი ისეთი პრობლემებისა, როგორცაა ჰაერის დაბინძურება, წყლის დაბინძურება და ეკოსისტემების განადგურება.

ინდუსტრიული რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და საყურადღებო შედეგი იყო სწორედ ჰაერის დაბინძურება. ინდუსტრიული ქარხნები, რომლებიც იყენებდნენ ქვანახშირს ენერჯის მოპოვებისთვის, ჰაერში მავნე აირების დიდი რაოდენობა გამოიყოფოდა. წყლის დაბინძურება ასევე იყო ინდუსტრიული რევოლუციის ყველაზე მძიმე და ხშირად განსახილველი ეკოლოგიური პრობლემა. ქალაქებში არსებული ქარხნები, რომელთაც არ გააჩნდათ სათანადო სანიატორიული და ეკოლოგიური რეგულაციები, ხშირად უშვებდნენ კანალიზაციის წყლებს და ქიმიკატების ნარჩენებს პირდაპირ მდინარეებში და წყალსადენებში. მაგალითად, თეიმზის მდინარე, რომელიც ლონდონის მეშვეობით გადიოდა, 18-19 საუკუნეების განმავლობაში გადაიქცა ერთ-ერთი ყველაზე დაბინძურებული მდინარედ, სადაც დაბინძურებული წყალი არა მხოლოდ ადამიანების ჯანმრთელობას, არამედ ადგილობრივ ეკოსისტემებსაც ემუქრებოდა.

დასკვნის სახით შენიძლია ვთქვა რომ ინდუსტრიული რევოლუცია, რომელსაც ინგლისში ცაყყარა საფუძველი და გახდა გარდამტეხი მომენტი კაცობრიობის ისტორიაში, [Stearns, Peter N. 1993: Pg. 10-

25] არა მხოლოდ ეკონომიკური ზრდა და ტექნოლოგიური ინოვაციები მოიტანა, არამედ წარმოიშვა ახალი სოციალური და პოლიტიკური სტრუქტურები. მისი შედეგები სამყაროში ფართო, გრძელვადიანი გავლენის მქონეა, რაც იძლევა შესაძლებლობას დღესაც განვიხილოთ და გავაანალიზოთ ინდუსტრიის, შრომის, ეკონომიკისა და სოციალური მოწყობის განვითარება. მიუხედავად ინდუსტრიული რევოლუციის მნიშვნელოვანმა გავლენამ თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში, ის ასევე გაკვეთილი და გაფრთხილებაა იმის შესახებ, რომ ტექნოლოგიური პროგრესი და ეკონომიკური წინსვლა არ უნდა იყოს გამოწვეული მხოლოდ სოციალური უთანასწორობისა და გარემოს დაბინძურების ხარჯზე. მნიშვნელოვანია, რომ განვითარება განხორციელდეს მდგრადი პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოების სიღრმისეულ განვითარებას და ადამიანის უფლებების პატივისცემას. ამგვარად, ინდუსტრიული რევოლუცია, თავისი მრავალი წარმატებით და გამოწვევით, კვლავ რჩება ჩვენს ცივილიზაციაზე მოქმედი ძალის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ, რომლის მნიშვნელობა დღემდე გასაგები და აქტუალურია, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ზრუნავს თანამედროვეობის პრობლემების გადაჭრაზე და მომავალი თაობებისთვის მდგრადი საზოგადოებების შექმნაზე.

1. **ბიბლიოგრაფია:**

2. Allen, R. C. *The Industrial Revolution: A Very Short Introduction*.-Oxford University Press, 2009.-pp. 50–78.
3. Bayly, C. A. *The Birth of the Modern World, 1780–1914: Global Connections and Comparisons*. Wiley-Blackwell.-2003.-pp. 102–145.
4. British Library. (n.d.). *Industrial Revolution*. Retrieved from [<https://www.bl.uk>].
Encyclopaedia Britannica. (n.d.). *Industrial Revolution*. Encyclopaedia Britannica, Inc.
Engels, F. *The Condition of the Working Class in England*.-Oxford University Press.-2009.-pp. 67–89.
5. Hobsbawm, E. J. *Industry and Empire: From 1750 to the Present Day*.-Penguin Books, 1999.-pp. 45–78.
6. Hudson, P. *The Industrial Revolution*.- Edward Arnold,1992
7. Marr, A. *The Making of Modern Britain*.- Pan Books, 2009.-pp. 200–230.
O'Brien, P. *The Industrial Revolution and Its Impact on European Society*.- Palgrave Macmillan. - 1993.-pp. 15–34.

8. Piketty T. *Capital in the Twenty-First Century*.- Harvard University Press, 2014.-pp. 134–156.
9. Smith, A. *The Wealth of Nations*. W. Strahan and T. Cadell, 1776.-pp. 300–325; pp. 400–420.
10. Stearns, P. N. (1993). *The Industrial Revolution in World History*. Westview Press. (pp. 10–25).
11. “The Industrial Revolution.” A&E Television Networks. (n.d.). Retrieved from
[<https://www.history.com>].
12. Thompson, E. P. *The Making of the English Working Class*.- Penguin Books, 1963.-Book II, pp. 300–325.
13. “The Industrial Revolution.” A&E Television Networks. Retrieved from, (n.d.).
[<https://www.history.com>]

ანა ელკანოვი, ტატა ოქროჯანაშვილი.

ფრანსისკო გოია: სერია „შავი ნახატები“ და თვითგამოხატვის გრადაცია მისი შემოქმედების დასასრულს.

ფრანსისკო ხოსე დე გოია ი ლუსიენტესი იყო ესპანელი ფერმწერი, გრაფიკოსი და გრავიორი, რომელიც დაიბადა 1746 წლის 30 მარტს სარაგოსაში, ესპანეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში და გარდაიცვალა 1828 წლის 16 აპრილს ბორდოში. გოია იყო მის გარშემო არსებული სამყაროს დამკვირვებელი. გოიას შემოქმედება ეხმაურებოდა მისი დროის მღელვარე პერიოდებს განმანათლებლობის განთავისუფლებიდან ინკვიზიციის ჩახშობამდე, ომის საშინელებასა და ესპანეთში ნაპოლეონის შეჭრას.



როდესაც ფრანსისკო მადრიდში ჩავიდა, იქ გაეცნო სასახლის კარის მხატვრების ნამუშევრებს. 1763 წელს მონაწილეობა მიიღო მადრიდის სამხატვრო აკადემიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში იმ იმედით, რომ მიიღებდნენ სან ფერნანდოს ხელოვნების სამეფო აკადემიაში, თუმცა მისმა ნახატმა ვერ პოვა მოწონება. 1766 წელს მან კვლავ სცადა ხელოვნების სამეფო აკადემიაში ჩაბარება, მაგრამ უშედეგოდ, მისი ნამუშევარი კვლავ დაიწუნეს. 1771 წელს ფრანსისკო გაემგზავრა იტალიაში. ქალაქ პარმაში მან თავისი ნახატი გაიტანა კონკურსზე და მოიპოვა პარმის სამხატვრო აკადემიის მეორე პრემია ანტიკურ თემაზე შექმნილი ნახატისთვის, „ჰანიბალი ალპებიდან დასცქერის იტალიას“. იმავე წლის ბოლოს ფრანსისკო დაბრუნდა სარაგოსაში და შეუდგა ფრესკების მოხატვას.



„The Victorious Hannibal Seeing Italy from the Alps for the First Time”, 88 x 133 cm, Oil, Canvas; Museo del Prado, Madrid.

1773 წლიდან გადავიდა სამუშაოდ თავის მეგობარ ფრანსისკო ბაიუსთან, რომელიც იყო ესპანეთის მეფის კარლოს III-ს კარის მხატვარი. გოიამ გაიწვო ფრანსისკოს და ხოსეა (პეპა), რომელზეც იქორწინა 1773 წელს. 1780 წელს გოიამ დახატა მეფის პორტრეტი. ამის შემდეგ დახატა „ჯვარცმა“ და ასე გახდა სამეფო აკადემიის წევრი. 1785 წელს გახდა ამავე აკადემიის ფერწერის განყოფილების ვიცე-დირექტორი, 1795 წელს კი დირექტორი. 1796 წელს გახდა სამეფო კარის მხატვარი. 1799 წელს მეფე კარლოს III-ის გარდაცვალების შემდეგ ტახტზე ავიდა კარლოს IV. ფრანსისკო გოია გახდა მისი კარის მხატვარი და პირველი ფერმწერი.

„Charles IV of Spain and His Family”, 1801, 280 x 336 cm, Oil, Canvas; Museo del Prado, Madrid.

ესპანეთის სამეფო ოჯახის ეს პორტრეტი შესრულდა გოიას, როგორც მხატვრის, კარიერის მწვერვალზე, განსხვავებით მისი საზოგადოებისა და სასამართლოს ადრინდელი პორტრეტებისგან, რომლებიც უფრო მჭიდროდ იყო მორგებული ჟანრულ კონვენციებს. მხატვარმა კომპოზიცია დააფუძნა ველასკესის „Las Meninas“-ზე, რომელიც ასევე მოიცავს მხატვრის ავტოპორტრეტს სამეფო ოჯახის ხატვის პროცესში. აქ გოია ასახავს საკუთარ თავს ჩრდილში. ის დგას მარცხენა მხარეს დიდი

ტილოს

წინ.

კომპოზიციის ცენტრში, შესამჩნევად განათებულია დედოფალ მარია ლუიზას ფიგურა, რომელსაც ხელში უჭირავს მისი ვაჟის, ფრანცისკოს (ნათელი წითელი) და მისი ქალიშვილის, მარია იზაბელის ხელი. მეფე ჩარლზი დგას მის მარცხნივ. განლაგება გვაძლევს ცნობას ოჯახის ძალაუფლების იერარქისა და დინამიკის შესახებ. მართლაც, ითვლებოდა, რომ დედოფალი ფლობდა ნამდვილ ძალაუფლებას პრემიერ-მინისტრ მანუელ გოდოისთან ერთად, რომელთანაც მას ჰქონდა რომანი (მისი უკანონო შვილები ტილოზე, მისგან მოშორებით, მარცხენა მხარეს არიან ლურჯ და ნარინჯისფერ სამოსში). ჩარლზ IV-ის მეფობის ფორმალურობა შენიღბულია განმადიდებელი პორტრეტით, როგორც გოიას დივერსიული კრიტიკა. ტექნიკური თვალსაზრისით ნამუშევარზე უფრო მეტადაა განათებული ისეთი დეტალები, რომლებიც ხაზს უსვამს მდიდრულ ტანსაცმელსა და ძვირფასეულობას, რომლითაც ოჯახი იმოსებოდა. რემბრანდტის გავლენა მხატვარზე აშკარაა ამ ნამუშევარში, განსაკუთრებით სინათლისა და ჩრდილის თამაშით, და გოიას პალიტრის საერთო თბილი ტონალობით[Martin Shwander,2021: 25]. როგორც ვახსენეთ, გოიას სამხატვრო მოღვაწეობა სხვადასხვა თემატიკას ეხება: ესპანეთის სამეფო კარის ცხოვრება ნამუშევარში მდიდრული სტილითაა გამოსახული, რაც ხაზს უსვამს სამეფო კარის სიმდიდრესა და ძალაუფლებას. ასევე, იგი იყო ერთ-ერთი უდიდესი გრავიორი. მის შემოქმედებაში ცენტრალური ადგილი უკავია ქალებს, განსაკუთრებით მაჟებს, როგორც XVIII და XIX საუკუნეების ესპანეთის დაბალი კლასების ელეგანტურ და უჩვეულო წევრებს.



ფრანსისკო გოიას გვიანდელი ნამუშევრები, „შავი ნახატების“ სერია, ყველაზე იდუმალია. მის

შემოქმედებაში ვხვდებით გრადაციას იდეალურიდან გროტესკამდე, არსებულიდან წარმოსახვითამდე და იუმორისტულიდან მკვეთრად სატირულამდე. ფრანსისკო გოიას „შავი ნახატების“ სერია მოიცავს 14 ნამუშევარს, დახატულს 1819-1823 წლებში, მისი სიცოცხლის ბოლომდე. ეს სახელწოდება მიიღო შავი ფონის გამო, რომელსაც გოია იყენებდა წინასწარმეტყველების, სიმძაფრის, ემოციისა და საიდუმლოების განცდის შესაქმნელად. ნამუშევრები ძლიერი შეხსენებაა ომის ტრაგედიისა და საშინელების, ადამიანის ბუნების საზარელი ნაწილისა და სიცოცხლის სისუსტის შესახებ. ამ ნამუშევრებში გოიას მიერ გამოყენებული ბნელი ტონები და ფუნჯის თითოეული სქელი მონასმი ხაზს უსვამს რომანტიკული პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრის ოსტატობასა და უბადლო უნარს, გამოხატოს ადამიანის ბნელთმოცული ბუნება და ადამიანის ფსიქიკის განუჭვრეტელი ასპექტები.

„Saturn Devouring His Son”, 143 x 81 cm , Oil, Canvas; Museo del Prado, Madrid

ისინი ადასტურებენ გოიას გენიალურობასა და ხელოვნების ძალას, რომელსაც შეუძლია ადამიანის დაფიქრება ზემოთ დასახელებულ საკაცობრიო მნიშვნელობის თემებზე. ეს სერია ასიმეტრიულად განსხვავდება გოიას ადრინდელი ნამუშევრებისაგან როგორც სტილით, ასევე თემატიკით. ახლა განვიხილავთ ნამუშევრებს სერიიდან „შავი ნახატები“.

პირველი ნამუშევრის სახელწოდება, რომელსაც განვიხილავთ არის „Saturn Devouring His Son“.

სახელწოდება ქართულად ნათარგმნია, როგორც „სატურნი ჭამს თავის შვილს/ვაჟს“, თუმცა ინგლისური სახელწოდება „devouring“-„შთანთქმა“, ჩვენი შეფასებით, უკეთ ასახავს ნამუშევრის იდეას.

ნამუშევარი ასახავს ბერძნულ მითს ტიტან კრონუსის შესახებ, რომელიც ჭამდა თავის ვაჟებს, რადგან თვლიდა, რომ მას ერთ-ერთი მათგანი დაამხოვდა (სატურნი არის ტიტანის რომანტიზებული ვერსია). სატურნი ფართოდ ხსნის პირს, რომ შეჭამოს შვილის მკლავი. მისი ჭრილობებიდან მოედინება წითელი სისხლი, რომელიც შოკისმომგვრელად ნათელია ბუნდოვან და მუქ ფონთან შედარებით. ნამუშევრის ფერები გვაგონებს მისი ერთ-ერთი გამორჩეული ნამუშევრის

„სამი მაისი 1808“ (1814წ) პალიტრას.




Peter Paul Rubens, „Saturn“, 1636, Museo del Prado, Madrid

მუქი ფერები, რომლებიც სიღრმის ეფექტს უზრუნველყოფენ, ქმნიან საერთო ტონს, ხოლო სინათლე ჩვენს ყურადღებას ამახვილებს დრამატული მოქმედების ცენტრზე. ზოგიერთი ხელოვნების კრიტიკოსი თვლის, რომ ნამუშევარი შთაგონებული იყო პიტერ პაულ რუბენსის იმავე თემატიკის ნახატით „სატურნი“. ხელოვნების ისტორიკოსი ფრედ ლიხტი გამოთქვამდა მოსაზრებას ამ ნამუშევარზე: თუკი პიტერ პაულ რუბენსის ნამუშევარში მსხვერპლი ჩვილია, გოიას ნამუშევარში მსხვერპლს ზრდასრული ადამიანის სხეული აქვს, რომელიც, რეალურად, არ შეესაბამება ზრდასრული ადამიანის სხეულის მოცულობას [Fred Licht,1979: 73-75]. რუბენსის ნამუშევრის მიხედვით სატურნი ჭამდა თავის ვაჟებს ჩვილად ყოფნისას. მაგრამ ლიხტის მოსაზრების მიხედვით, გოიას ნამუშევარში მსხვერპლი ზრდასრული ჩანს. ფიგურის მოხრილი თემოები და ფეხები კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მის სქესს. არსებობს ვარაუდი, რომ მსხვერპლი შეიძლება იყოს მდედრობითი სქესისაც [Martin Shwander,2021: 31]. ვარაუდობენ, რომ ნახატის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი-მელანქოლია, ასახავს გოიას ფსიქიკურ და გონებრივ მდგომარეობას, რომელსაც ნამუშევრის შექმნის პერიოდში განიცდიდა. ნამუშევარი შეიძლება გამოხატავდეს მხატვრის შიშს, რომ დაკარგავს ძალას მისი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების გამო. უფრო პოლიტიკურ დონეზე/კონტექსტში ნამუშევარი ითვლება, რომ შეიძლება იყოს ფერდინანდ VII-ის მხაგვრელი მმართველობის ალეგორია. ფერდინანდის მეფობის დროს ხშირი იყო ინკვიზიცია. ცნობილია, რომ გოიას ერთ-ერთი ცნობილი

ნამუშევრის „შიშველი მახას“ დაწვის მცდელობაც არსებობდა. ცდილობდნენ მოეძებნათ მენატურე ქალი, რომელიც გოიამ არ გასცა. მმართველობის ამდაგვარი ავტორიტარული მოქმედება იწვევდა ესპანური საზოგადოების სულისკვეთების დათრგუნვას. რადგან არასდროს მომხდარა ამ სერიის ნახატების გამოფენა, გოიას ნამდვილი ზრახვები ნამუშევრის შინაარსისა და თემატიკის შესახებ, უცნობი დარჩა. ხელოვნებათ- მცოდნეებშიც ვარაუდი ვარაუდად რჩება.



„La maja desnuda”,1797-1800, Ol, Canvas; Museo del Prado, Madrid
შემდეგი ნამუშევარი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ არის „Two Old Ones Eating Soups” - „ორი მოხუცი ჭამს წვნიანს“ ან „ორი ჯადოქარი“. ეს არის ერთ-ერთი თოთხმეტი ნახატიდან. როდესაც მან დახატა ნამუშევრები სახლის შიდა კედლებზე, რომელიც ცნობილია როგორც Quinta del Sordo ("ყრუ კაცის სახლი"), ის 70 წელს გადაცილებული იყო. ისინი არ იყო განკუთვნილი საჯარო ჩვენებისთვის. ნამუშევარს „Two Old Ones Eating Soups” ეკავა პოზიცია სახლის მთავარი კარის ზემოთ, ლა ლეოკადიასა და ორ მოხუცს შორის.



„Two Old Ones Eating Soups”, 1823; 49 x 83cm; Museo del Prado, Madrid
სხვა შავი ნახატების მსგავსად, ნამუშევარი ტილოზე გადაიტანეს 1874-1878 წლებში (მას შემდეგ, რაც 1874 წელს ჟან ლორანმა გადაიღო ამ ნამუშევრების ფოტოები) და 1881 წლიდან ნამუშევრები პრადოს მუზეუმშია გამოფენილი. გამოსახულებაზე ორი ხანდაზმული ადამიანის ფიგურა ამოზრდილია შავი ფონიდან. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ვარაუდით ისინი კაცები უნდა იყვნენ, მათი სქესის გარჩევა შეუძლებელია. მარცხენა ფიგურის პირი გრიმასის ასოციაციას იწვევს, შესაძლოა კბილების ნაკლებობის გამო. ამ გამომეტყველებისგან განსხვავებით, მეორე ფიგურის არც სახე და არც ტანი არ ჰგავს ცოცხალი ადამიანისას. მისი თვალები შავი ღრუს სახითაა წარმოდგენილი, რომელიც უერთდება ფონის სიშავეს (ანუ ფონის მეშვეობით არის შექმნილი). თავი კი პირველივე შეხედვით თავის ქალის ასოციაციას იწვევს. ისევე როგორც სერიის სხვა ნამუშევრებში, ამ ნახატშიც ჭარბობს შავი, ნაცრისფერი, მიწისფერი და ოხრისფერი ტონები. პერსონაჟების სხეულის გარკვეული ნაწილები

მასტეხინის ტექნიკის მეშვეობით არის შექმნილი. როგორც ვახსენეთ, სერიის ყველა ორიგინალი ნახატი Quinta de Goya-ს სახლის კედელზე იყო გამოსახული.



„Witches' Sabbath”, რომელსაც უწოდებენ „დიდ თხას“, გვიჩვენებს ეშმაკს თხის სახით, რომელიც ქადაგებს ქალების ჯგუფს, სავარაუდოდ, ჯადოქრების „სერობას“. ეშმაკის ფიგურა მხოლოდ მუქი სილუეტის სახით ჩანს, რომელიც ქმნის საიდუმლოების განცდას ფიგურის გარშემო. მონასმები უფრო უხეში და მოუხერხებელია, ვიდრე გოიას ადრინდელ ნამუშევრებში. სურათის დაუმუშავებელი ელფერი და უხეში მონასმები აძლიერებს ჩაკეტილი გარემოსა და იდუმალების შერბნებას.

„Aquelarre”/ „Witches' Sabbath”. 1821-1823; Museo del Prado, Madrid.

ნამუშევარში გამოყენებული ნათელი და ბნელი ფერების თეატრალური კონტრასტი მოგვაგონებს ნახატს სახელწოდებით „სამი მაისი 1808“. ნამუშევარში გამოყენებული ნათელი და ბნელი ფერების შეთამაშება ემსახურება ომის სიმძაფრის ასახვას პერსონაჟების სულიერ მდგომარეობაზე. აქ ჩვენ ვხედავთ ფრანგ ჯარისკაცებს, რომლებიც სიკვდილით სჯიან უიარაღო ესპანელებს მათი აჯანყების საპასუხოდ. კომპოზიციის ფოკუსის წერტილი არის უიარაღო მამაკაცი განათებულ ცენტრში, რომელიც დგას აწეული ხელებით. მისი დგომა, გაშლილი ხელები, თეთრი პერანგი იწვევს ქრისტეს ასოციაციას. მის ფეხებთან ვხედავთ ახლად დაღუპული მემამოხეების ცხედრებს, ხოლო დასახვრეტად გამზადებული მემამოხეების ჯგუფი მის უკან დგას. ჯალათები, რომელთა სახეები შემოქმედებაში ბუნდოვანია, დგანან ჩვენგან ზურგშექცევით. ესპანელი გმირისკენ მიმართული ბაიონეტებით. საფრანგეთის რაზმის ანონიმურობა (ზურგით დგომა) კონტრასტშია მსხვერპლთა სახეებთან.



ნახატი ითვლება მოდერნულ მხატვრობაში ომის ერთ-ერთ პირველ სურათად [Mark McDonald,2021;69-70], რომელმაც გავლენა იქონია ედუარ მანეს („იმპერატორ მაქსიმილიანის სიკვდილით დასჯა“(1868-1869)) და პაბლო პიკასოს („ხოცვა კორეაში“(1951)) მომავალ ნამუშევრებზე.

ისევ „დიდ თხას“ რომ დავუბრუნდეთ, კომპოზიციის მარჯვენა მხარის დიდი ნაწილი თაბაშირიდან ტილოზე გადატანისას დაიკარგა და ნამუშევრის სრული მნიშვნელობა და შინაარსი საიდუმლოდ რჩება. ნაშრომი განიხილება როგორც ინკვიზიციის კრიტიკა, რომელიც ფერდინანდ VII-ის მმართველობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მონარქი ეწინააღმდეგებოდა განმანათლებლობის მთავარ პრინციპებს, რომლებიც წინ აყენებდა ადამიანის გონებას რელიგიურ ან საკულტო ცრურწმენებზე მაღლა და გმობდა ინკვიზიციის პოლიტიკასა და მჩაგვრელობას. ცნობილია, რომ ჯადოქრების თემატიკაზე გოიას შექმნილი აქვს რამდენიმე ნამუშევარი.



„The Dog”, 1819-1823, 131 x 79cm; Ol, Canvas; Museo del Prado, Madrid

ნამუშევარი სახელწოდებით „ძაღვი“ ერთ-ერთია გოიას სერია „ შავი ნახატებიდან“. როგორც დანარჩენი ნამუშევრები, ხსენებულიც შესრულებულია Quinta de Goya-ს სახლის კედელზე 1819-1823 წლებში. ეს ნამუშევარი ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ სიმბოლისტურ ნახატად. მისი შინაარსისა და იდეის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. ერთ-ერთის მიხედვით,ძაღვი განიხილება როგორც ჯოჯოხეთური ფიგურა [Rosie Lesso,2022 <https://www.thecollector.com/why-did-francisco-goya-make-his-black-paintings/>], რომელსაც გარდაცვლილი სულები მიჰყავს ქვესკნელში. ასევე ვარაუდობენ, რომ ძაღვი არის მიტოვებისა და უგულვებელყოფის სიმბოლო.

მარტივი, მაგრამ ძალიან ძლიერი ემოციის გამომხატველი ნამუშევარი-„ძაღვი“ ბევრმა თანამედროვე მხატვრმა შეაქო[Sachi Yanari-Rizzo;2022 <https://fwmoa.blog/2021/07/26/treasures-from-the-vault-francisco-de-goya/>] ანტონიო საურამ მას „მსოფლიოს ყველაზე ლამაზი სურათი" უწოდა. ჯოან მირომ კი აღიარა, რომ „ძაღვი" იყო - ველასკესის „ლას მენინასთან" ერთად - მისი საყვარელი ნახატი პრადოს მუზეუმში. ნამუშევრის ფონი ორ ნაწილად იყოფა. ყავისფერი უბანი დიაგონალურადაა გამოსახული ნამუშევარზე, რომელშიც დომინირებს ოხრის ღია ტონები, თუმცა სურათის ზედა მარჯვენა ნაწილში შესამჩნევად საუცხოო მუქი ტონია გამოყენებული, რომელიც, თითქოს, ნახატის ცენტრში გამოსახული ძაღლის ფიგურისკენ მიემართება. ძაღლს მხოლოდ თავი უჩანს, ტანი კი- მთლიანად იკარგება ყავისფერ სივრცეში. ეს ამოუცნობი მასა მალავს ცხოველის სხეულს. ნამუშევრის მრავალი ინტერპრეტაცია არსებობს. ხელოვნების ისტორიკოსები ვარაუდობენ,

რომ სივრცეში დაკარგული და თითქოს რაღაცის მომლოდინე ძალის თვად გოიას მარტოობისა და სიცარიელის სიმბოლოა. ზედა და ქვედა სივრცეები ხშირად განიხილება, როგორც ცა და დედამიწა. ამ შეხედულების მიხედვით, შავი ძალის, რომელიც მოყვითალო ცასა და დედამიწის ტალახიან ზოლს შორისაა ჩარჩენილი-უძლურია და არ შეუძლია გათავისუფლდეს. ძალის შემფოთებული უყურებს ცას და ელის დახმარებას, რომლის გამოჩენაც სათუთა. ცხოველის გამომეტყველებაში ჩანს შიში, ტკივილი და უიმედობა. ჩვენ შეგვიძლია შევამჩნიოთ შფოთვა ცხოველში, თუმცა ჩვენ ვერ განვსაზღვრავთ, უბრალოდ არ ვიცით, რა ისტორია უდევს ცხოველის ამ გამომეტყველებას საფუძვლად. გადაჭრით ვერ ვიტყვით, რომ აღწერა ზუსტია. XIX საუკუნეში გადაღებული ზოგიერთი ფოტო გვიჩვენებს, რომ ძალის შესაძლოა უყურებდა ფრინველებს, რომლებიც გაუჩინარდნენ ნახატიდან მისი აღდგენის მცდელობის შემდეგ. პრობლემა ის არის, რომ ნახატმა შესაძლოა სხვა ცვლილებები განიცადა გოიას გარდაცვალების შემდეგ და სურათების გადაღებამდეც [Evan S. Connell, 2005; 161-164]. ასე რომ, ჩვენ დანამდვილებით არ ვიცით, როგორ გამოიყურებოდა ორიგინალი. ამიტომ

ნახაოსიე

ტი შეიძლება ეხებოდეს ადამიანის სიცარიელესა და მარტოობას, ან ძალს, რომელიც უყურებს ფრინველებს. ასევე ნამუშევარს უკავშირებენ სიკვდილის გარდაუვალობის იდეას. „A Pilgrimage to San Isidro”, 1823; 140 x 438 cm, Oil, Canvas; Museo del Prado, Madrid.

შემდეგი ნამუშევრის სახელწოდებაა „A Pilgrimage to San Isidro”. გავრცელებული აღწერის მიხედვით „მოლოცვა“ დაკავშირებულია მადრიდში სან ისდროს დღესასწაულთან, რომლის წინა, ნაკლებად მძაფრი ვერსია გოიამ ახალგაზრდობაში დახატა. „A Pilgrimage to San Isidro” გვიჩვენებს მომლოცველობის ხედს მადრიდის სან ისდროს ერმიტაჟისკენ, რომელიც სრულიად საპირისპიროა გოიას მიერ ოცდაათი წლით ადრე იმავე თემაზე შესრულებული ნამუშევრის სახელწოდებით



„The Meadow of San Isidro”(1788).



„The Meadow of San Isidro”,1788; 44 x 94 cm, Oil, Canvas; Museo del Prado, Madrid.

თუ ადრინდელი ნამუშევარი ეხებოდა მადრიდში ტრადიციული დღესასწაულის წეს-ჩვეულებების გამოსახვას და ქალაქის ხედის უზრუნველყოფას, წინამდებარე ნახატზე გამოსახულია ფიგურების ჯგუფი ღამით, რომლებიც მღერიან აშკარად ნასვამი და დამახინჯებული სახეებით. სიუჟეტში ფიგურირებს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი. წინა პლანზე ჩნდებიან დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლები, ხოლო უკან ფონზე ვხდავთ ქუდიან კაცებსა და მონაზვნებს. ნამუშევარში მხატვარი პილიგრიმობის სცენას იყენებს გავრცელებული ცრურწმენებისა და უმეცრების გამოსახატად. სახლი სადაც გოია ცხოვრობდა, მადრიდის მიდამოებში, საკმაოდ ახლოს იყო წმინდა ისიდროსთან. ამიტომ პილიგრიმობის ეს სცენები მისთვის ახალი არ იყო. ნამუშევარში ვლინდება მრავალი მორალური პრობლემა, რომლის წინაშეც დგას კაცობრიობა. კერძოდ, როგორცაა

გოიას „შავი ნახატების“ სერია მოიცავს ხელოვნების ისტორიაში გამორჩეულ შედეგებს. შექმნილი XIX საუკუნის დასაწყისში, კვლავაც შეახსენებენ ხელოვნებით დაინტერესებულებს მის ძალას ცხოვრების სიბნელესთან დაპირისპირებისას. გოიას გროტესკული გამოსახულებები და მძაფრი სოციალური სიუჟეტები XXI საუკუნეშიც თანამედროვე მხატვრების, მაგალითად ემილი ლომბარდოს, ჯეიკ და დინოს ჩაპმანების, უინკა შონიბარეს შთაგონების წყაროს წარმოადგენს. გადავწყვიტეთ თქვენთვის გვეჩვენებინა თანამედროვე მხატვრების ნამუშევრებში გოიას გავლენა და წარმოგვედგინა პარალელების სახით.

გოიას ნამუშევარი, სახელწოდებით „The Sleep of Reason Produces Monsters“ მიეკუთვნება სერია „Los Caprichos (კაპრიზები)“. „კაპრიზები“ ნახატების ისეთივე სერიაა, როგორც „შავი ნახატები“. ხსენებული სერიის ბევრი ნამუშევარი გამოხატავს ზიზღს განმანათლებლობის წინარე პრაქტიკის მიმართ, რაშიც იგულისხმება ამ უკანასკნელი იდეოლოგიის დაგმობა [Madison T. Rendall, 2019: 20-57]. გოია ამ სერიას იყენებს XVIII საუკუნის ესპანეთში გაბატონებული აზროვნების, გამდიერებული სასულიერო პირების, ანგარებიანი ქორწინებების, გაბატონებული ცრურწმენებისა და მისი თანამედროვე ესპანური საზოგადოების გასაკრიტიკებლად. „The Sleep of Reason Produces Monsters“ ხშირად განიხილება, როგორც გოიას მანიფესტი ჩამოთვლილი მანკიერებების წინააღმდეგ. მათგან განსხვავებით, ფილიპ ჰოფერის მტკიცებით, გოიას ნამუშევარი მთლიანად ეხმიანება განმანათლებლობის იდეოლოგიას განსაკუთრებით კი ჟან-ჟაკ რუსოს „სოციალური კონტრაქტის თეორიას“, რომელიც სწორედ განმანათლებლობის ეპოქაში შეიქმნა და ეხება სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმურობას ინდივიდთან მიმართებაში. ხსენებული ტერმინი



Figure 4. Francisco de Goya. *The Sleep of Reason Produces Monsters*. 1799. (The Prado Museum, Madrid, Spain).



Figure 5. *The Sleep of Reason Produces Monsters (Africa)*. Yinka Shonibare. 2008. (The Museum of Fine Arts, Houston, Texas).

მომდინარეობს რუსოს „საზოგადოებრივი ხელშეკრულებიდან“. მისი მტკიცებით ადამიანის ბუნებითი მდგომარეობა-თავისუფლებაა, ადამიანი იბადება თავისუფალი. ამ მდგომარეობაში ინდივიდის ქმედებები მხოლოდ მისი ძალის ზომითა და სინდისითაა შეზღუდული. რუსოს „სოციალური კონტრაქტის თეორიამ“, რომ ყველა ადამიანი თავისუფლად დაიბადა, დიდი წვლილი შეიტანა საფრანგეთის რევოლუციაში. ხელოვნებათმცოდნეები გოიას ნამუშევარს უკავშირებენ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც მოხდა მისი გამოქვეყნების შემდეგ, როგორებიცაა მსოფლიო ომები და ჰოლოკოსტი, რომლებიც შედეგია გონების სრული ნაკლებობისა. გოიას ნამუშევარში პერსონაჟს სძინავს, სძინავს მის გონებას და სწორედ ამ დროს ჩნდებიან მონსტრები, რომელთა წარმოქმნა გონების მიძინებული მდგომარეობითაა განპირობებული [Jake Chapman, Dinos Chapman, 56-65]. ეს კი იმის ალეგორიაა, რომ ყოველი უბედურება გამოსაფხიზლებელი გონების ბრალია. განმანათლებლობის იდეაც ხომ ფოკუსს სწორედ გონების გამოფხიზლებაზე სვამდა. ამ უკანასკნელის მიხედვით, საჭირო იყო ადამიანის გონების „გამოღვიძება“.

XXI საუკუნეში გოიას ნამუშევრის ერთგვარი გამეორებაა უინკა შონიბარეს მიერ 2008 წელს შექმნილი იმავე სახელწოდების ნამუშევარი „The Sleep of Reason Produces Monsters“.



Figure 7. Francisco de Goya. *Great Deeds Against the Dead!* 1810-1820 (first published 1863). (The Prado Museum, Madrid, Spain)



Figure 8. Melchior Dumas Chaperon. *Great Deeds Against the Dead!* 1834.

მხატვარი ნამუშევრის

კომპოზიციასა და იდეას იგივეს ტოვებს, მხოლოდ სტილს ცვლის, რომელიც მეტად რეალისტურია ორიგინალთან შედარებით. უინკა შონიბარესთან ერთად ჯეიკ და დინოს ჩაპმანებიც იმეორებენ გოიას ნამუშევარს, სახელწოდებით „Great Deeds Against the Dead!“. ნამუშევარი შექმნილია ომის საშინელების თემატიკაზე, ისევე როგორც „The Third of May“ და „The second of May“. გარკვეული მოსაზრებით, ნამუშევარი „Great Deeds Against the Dead!“ ერთგვარი შეპირისპირებაა ხსენებულ ორ ნამუშევართან. თუკი ნამუშევარში „The Third of May“ ესპანელი სამხედროს თვალეებში აღბეჭდილი შიში ფრანგი სამხედროების დამსახურებაა, ამ ნამუშევრის იდეა ისაა, რომ ესპანელებიც ჩადიოდნენ სისასტიკეს ფრანგების წინააღმდეგ, მათი ქმედებების საპასუხოდ. როგორც ცნობილია, ესპანელი გლეხები და პარტიზანები ხშირად იპარავდნენ ფრანგების გვამებს და ასახიჩრებდნენ. გოიას ნამუშევარზე სწორედ ფრანგი სამხედროების დასახიჩრებული სხეულებია გამოსახული. მეტი სიმძაფრის ეფექტს ქმნის დასახიჩრებულ სხეულთა განსხვავებულობა, ზოგიერთი სხეული სრულად დანაწევრებულია. განსხვავებით უინკა შონიბარესაგან, ჯეიკ და დინოს ჩაპმანები კომპოზიციას ოდნავ ცვლიან. ორიგინალისაგან განსხვავებით მათ ნამუშევარს აკლია ერთი დასახიჩრებული სხეული. რაც შეეხება ტექნიკას, ფერთა მრავალფეროვნება სიუჟეტს მეტ რეალისტურობას სძენს.



„The Third of May 1808“, 1814; Oil, Canvas; 268 x 347 cm; Museo del Prado, Madrid



„The second of May 1808“, 1814; Oil, Canvas; 266 x 345 cm; Museo del Prado, Madrid.

ფრანსისკო გოიას „შავი ნახატების“ სერიის ხილვისა და მათი შექმნის დაუზუსტებელი ისტორიების წაკითხვის შემდეგ ცხადია გვიჩნდება კითხვა, ეს ყოველივე, რომელიც ადამიანური ბუნების მანკირებას, ნაკლოვანებას, შემადრწუნებლობასა და გროტესკს გადმოსცემდა, მშვენიერებას

წარმოადგენს თუ სიმახინჯეს? ან თუ არსებობს უნივერსალური გზები, რომლითაც ადამიანები რეაგირებენ სილამაზეზე? ზოგჯერ სილამაზე განცალკევებულია, ვნების არარსებობაა. სიმახინჯე კი პირიქით, ვნებაა.

ეს ჩვენ გვაგონებს ნაშრომების „On Beauty” და „On Ugliness” იტალიელ ავტორს უმბერტო ეკოს. სიმახინჯე არსებობს, როგორც ცხოვრებაში, ისე ხელოვნებაში. არსებობს სიმახინჯის განსჯა, როგორც სილამაზის იდეალთან შეუსაბამობა. თუმცა, თითქმის არ არსებობს ნათლად გავლებული ზღვარი მშვენიერებასა და სიმახინჯეს შორის. გოიას ნამუშევრების (და ზოგადად მისი შემოქმედების) კონტექსტშიც ასეა. რთულია თქმა იმისა, რომ „სატურნი ჭამს თავის შვილს/ვაჟს“, „დიდი თხა“, „პილიგრიმოზა სან ისიდროს შადრევანთან“ ან „ორი მოხუცი ჭამს წვნიანს“ ერთმნიშვნელოვნად სიმახინჯეა, საშინელებაა. სიმახინჯის გამოსახვა რეალურად ემსახურება სილამაზის გამორჩევას. როგორც სენტ ბონავენტურამ თქვა - „ემშაკის გამოსახულება მშვენიერია, თუ ის სიმახინჯის კარგი წარმოდგენაა“. სწორედ ამგვარ მშვენიერებას წარმოადგენს გოიას ნამუშევრებში უფერული ზღვარი მშვენიერებასა და სიმახინჯეს შორის, რომელიც, როგორც კაცობრიობის, ისე ცალკეული ინდივიდის ისტორიას წვდება. დაზუსტებული ინფორმაცია ჩვენ მიერ განხილული ნამუშევრების შინაარსის შესახებ არ არსებობს. უმეტეს შემთხვევაში სხვადასხვა ხელოვნების ისტორიკოსის მიერ ისინი სხვადასხვანაირადაა ინტერპრეტირებული. ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით ისინი შთაგონებულია მხატვრის ნეგატიური გამოცდილებით ნაპოლეონის ომებისა და ესპანური ინკვიზიციის დროს. სხვები კი თვლიან, რომ ისინი უბრალოდ გოიას ბნელი და ავადმყოფური წარმოსახვის გამოხატულება იყო.

1. **გამოყენებული ლიტერატურა :**

2. Chapman, J. Chapman, D.- Insult to Injury,2004.-pp. 56-65.
3. Connell, E.S. Francisco Goya: Life and Times.-Counterpoint LLC, 2005.-pp. 161-164.
4. Licht, F. Goya, the Origins of the Modern Temper in Art. New York : Universe Books. Macmillan, 1979.-pp. 73-75.
5. McDonald, M. Goya's Graphic Imagination.- Metropolitan Museum of Art, 2021.-pp 69-70
6. Rendall, M.T. Goya Reclaimed: Contemporary Artists' Appropriation of Francisco de Goya's Work for a Contemporary Consumption.-University of Houston,2019.-pp 20-57
7. Shwander, M. Francisco de Goya: Exhibition Guide, 2021.-p 25; p 31
8. Lesso, R. Why Did Francisco Goya Make His Black Paintings? .-2022
<https://www.thecollector.com/why-did-francisco-goya-make-his-black-paintings/>
9. Yanari-Rizzo, S. Treasures from the Vault: Francisco deGoya.-2022.
<https://fwmoa.blog/2021/07/26/treasures-from-the-vault-francisco-de-goya/>

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ნინო ახალაია . სოციალური ქსელების გავლენა მეტყველებაზე-----3
2. ნინო ზიგერი . გერმანულენოვანი გაზეთი „KAUKASISCHE POST“ და გაზეთი „ივერია“ (ერთი დღის ნომრების კომპარატივისტული ანალიზი)-----9
3. გიორგი შარაშენიძე . კონფლიქტის კოლექტიური ტრავმის დაძლევის გამოცდილება თამრი ფხაკაძის მოთხრობაში „ბოსტანი კონფლიქტის ზონაში“-----17
4. მარი ბაიდარაშვილი . მათე ედესელის ერთი ცნობის შესახებ (დავით აღმაშენებლის ძმის ვინაობის გარკვევისათვის)-----22
5. ნინო ჩარკვიანი . ინდუსტრიული რევოლუცია ინგლისში: ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედება მე-18 საუკუნეში-----28
6. ანა ელკანოვი , ტატა ოქროჯანაშვილი . ფრანსისკო გოია: სერია „შავი ნახატები“ და თვითგამოხატვის გრადაცია მისი შემოქმედების დასასრულს-----36